

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტი

ლევან სილაგაძე

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში  
(1996-2016)

დისერტაცია ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი სიმონ გელაშვილი

თბილისი

2018

## შინაარსი

შესავალი	4
თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) თეორიულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი საფუძვლები . . . . .	18
1.1 თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები . . . . .	18
1.2 საკანონმდებლო ბაზა . . . . .	33
თავი 2. გლობალური ეკონომიკური ტენდენციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) . . . . .	43
2.1 გლობალური ეკონომიკური ინდიკატორები. . . . .	43
2.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: „ლიდერი ქვეყნები, რეგიონები“	52
2.3 FDI: „ევროპული“ ტენდენცია. . . . .	59
2.4. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) . . . . .	73
თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: პოსტსაბჭოური ტენდენციები . .	82
3.1. მსოფლიო და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ინდიკატორების შედარებითი ანალიზი. . . . .	82
3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. . . . .	101
3.2.1. წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. . . . .	101
3.2.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა შედინება. . . . .	103
3.2.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წმინდა გადინება. . . . .	107
3.2.4. FDI-ს წმინდა შედინება და გადინება მოსახლეობის ერთ სულზე	111
3.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში. . . . .	119
3.3.1. FDI ქვეყნების მიხედვით. . . . .	123

3.3.2. FDI რეგიონებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით . . . . .	129
3.3.3. FDI-ს ზოგიერთი მახვენებლის შედარებითი ანალიზი საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებში . . . . .	143
დასკვნა. . . . .	152
ლიტერატურა. . . . .	168

## შესავალი

### საკვლევი თემის აქტუალობა

ყოფილი საბჭოთა კავშირი ტერიტორიის მიხედვით მსოფლიოში - უდიდესი, ეკონომიკური რესურსებით კი ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა იყო, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში დაიშალა და მის ბაზაზე აღმოცენდა 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირი დაშლის ერთ-ერთი მიზეზი მდიდარი ბუნებრივ რესურსების (ნავთობი, ბუნებრივი აირი (გაზი), ძვირფასი ლითონები, ხე-ტყე ...) არაეფექტიანად გამოყენება იყო. მაშინ ეკონომიკის ინოვაციურ რელსებზე გადაყვანას ნაკლები ეთმობოდა; საბჭოთა სისტემაში საკუთრებას სახელმწიფო განაგებდა, რომელიც ეკონომიკის დაფინანსებასაც უზრუნველყოფდა. საბჭოთა ეკონომიკა, განსაკუთრებით არსებობის ბოლო წლებში, საერთაშორისო ბაზარზე რესურსების ფასებზე იყო დამოკიდებული და საერთაშორისო კონკურენციას ვეღარ უმკლავდებოდა. ამიტომ, პოლიტიკურ ფაქტორებთან ერთად, ეკონომიკურმა ფაქტორებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლაში. 1990-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, აღმოცენებული ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები განსხვავებულად, მაგრამ მაინც დაადგინეს საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის გზას.

„საბჭოთა“ ქვეყნების ერთმა ნაწილმა (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) იმთავითვე ევროპული ორიენტაცია აირჩია და ევროკავშირის წევრი გახდა; მეორე ნაწილმა (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა) ცოტა ხნის წინ მოაწერეს ხელი ევროკავშირთან ასოცირებული წევრის ხელშეკრულებას; მესამე ნაწილი (რუსეთი, ბელორუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ჯერჯერობით - უკრაინაც, მოლდოვაც) ძირითადად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ფარგლებში ფუნქციონირებს (ზოგი მათგანი თანამშრომლობის ახალ ფორმატს ეძებს).

ახალგაზრდა პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ფინანსური რესურსების მწვავე დეფიციტმა, წინა პლანზე წამოსწია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI-პუი) მოზიდვის პრობლემები. FDI-ს შედინების მასშტაბები ასევე დიდად განსაზღვრავს უცხოელი ინვესტორების დამოკიდებულებას კონკრეტული

ქვეყნისადმი. ამ პროცესში ის ქვეყანა იღებს მეტ სარგებელს, ვინც მოზიდულ უცხოურ ინვესტიციებს ლოგიკურად შემუშავებული და დასაბუთებული პრიორიტეტების შესაბამისად მიმართავს.

ბოლო პერიოდში განვითარებად, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მასშტაბები გაიზარდა. FDI-ს შედინების მზარდი ტენდენცია გამოიკვეთა ბოლო ორ ათწლეულში საქართველოშიც. სამწუხაროდ, საქართველოში FDI-ს შესახებ, საკვლევ პერიოდში, სრულყოფილი ინფორმაცია (განსაკუთრებით რეგიონალურ, დარგობრივ ჭრილში, ასევე საინვესტიციო პროექტებზე ...) არ მოიპოვება და აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით სტატისტიკურ მონაცემთა სრულყოფა ფრიად აქტუალურია.

### **კვლევის მიზანი და ამოცანები**

**კვლევის მიზანია** პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების (შედინება, გადინება, წმინდა...) ზოგადი ტენდენციების შედარებითი ანალიზი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარეობს შემდეგი **ამოცანები**:

- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლების შესწავლა;
- მსოფლიო, მათ შორის ევროპული ეკონომიკების გლობალიზაციის ფონზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებითი ტენდენციების გამოვლენა;
- ქვეყნების საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციების (სსპ) ანალიზი;
- პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, FDI-ს ნაკადების შედარებითი ანალიზი;
- საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებში FDI-ს ნაკადების შედარებითი ანალიზი და სხვ.

### **კვლევის ობიექტი და საგანი**

**კვლევის ობიექტს** წარმოადგენს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) ნაკადები, როგორც ქვეყნების განვითარების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი.

**კვლევის საგანია** პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, უპირატესად საქართველოში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზნობრივ-შედგობრივ მახვენებელთა შედარებითი ანალიზი.

### **კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები**

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს საკვლევი პრობლემის შესახებ უცხოელი და ქართველი მეცნიერ-მკვლევარების ა. ვებსტერის, ლ. გიტმანის, ო. გოდვინის, მ. ივასაკის, ო. იულდაშევის, პ. სამუელსონის, ვლ. პაპავას, ა. სილაგადის, დ. კბილაძის, ე. ლეკაშვილის, კ. მაიერის, გ. მარკოვიცის, რ. მერტონის, ფ. მოდილიანის, ბ. ოლინის, ბ. ომანბაიევის, ქ. პინდის, რ. სალაჰოჯაევის, მ. სკოულზის, რ. სოლოუს, ჯ. ტობინის, მ. ტოკუნადას, უ. შარპის, რ. აბესაძის, ნ. აბესაძის, ა. აბრაღავას, ნ. ასლამაზიშვილის, ლ. ბახტაძის, ს. გელაშვილის, რ. გველესიანის, ი. გოგორიშვილის, შ. ვეშაპიძის, თ. ზუბიაშვილის, ზ. თეთრუაშვილის, მ. თეთრუაშვილის, ე. კაკულიას, ი. კოვზანაძის, ე. ლეკაშვილის, დ. მაგრაქველიძის, ქ. მარშავას, ე. მექვაბიშვილის, მ. მინდორაშვილის, მ. მუჩიაშვილის, ნ. ნოზაძის, ს. პავლიაშვილის, ა. სიჭინავას, უ. სამადაშვილის, დ. სიხარულიძის, ნ. ფარესაშვილის, რ. ფუტკარაძის, ლ. ქოქიაურის, გ. ლაღანიძის, ლ. ყორღანაშვილის, გ. ყუფარაძის, შ. შაბურიშვილის, თ. შენგელიას, გ. ცაავას, ვ. ჭარაიას, ნ. ხადურის, გ. ხანთაძის, ე. ხარაიშვილის, მ. ხმალაძის, ლ. ხურციას, ლ. ჯამაგიძის, მ. ჯიბუტის და სხვ. ნაშრომებში.

ჩატარებული კვლევა ეყრდნობა შესაბამისი წლების ანგარიშებს მსოფლიო ინვესტიციების შესახებ (World Investment Report, UNCTAD)-ს, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ), ევროსტატის, დსთ-ს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ეროვნული ბანკის და სხვ. სტატისტიკურ-მეთოდოლოგიურ მასალებს, ასევე, საქართველოს კანონებს საკვლევ თემატიკაზე.

ნაშრომი ეფუძნება ანალიზისა და სინთეზის, რაოდენობრივ და თვისებრივ, დაჯგუფების, შეფარდებით და საშუალო სიდიდეთა, გრაფიკული გამოსახვის, საინდექსო, შედარების და სხვ. მეთოდებს.

### **პრობლემის შესწავლის მდგომარეობა:**

როგორც აღინიშნა, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების“ სხვადასხვა ასპექტი გამოკვლეულია უცხოელი და ქართველი მეცნიერ-მკვლევარების მიერ. მოკლედ მიმოვიხილოთ ზოგიერთი მათგანი:

1) *მეიერი კ., პინდი ქ. (1999). FDI-ს ზრდის ნელი ტემპი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (Klaus E. Meyer and Christina pind. The slow growth of foreign direct investment in the Soviet Union successor states. Ekonomiks of Transition. Voi. 7(1), pp. 201-214).*

ნაშრომში განხილულია FDI-ს შედინების მდგომარეობა პოსტსაბჭოურ და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში (1992-1997წწ.). ჩატარებული შედარებითი ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ FDI-ს-ის ტემპები უფრო სწრაფად იზრდებოდა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ვიდრე პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. ამის მიზეზი ახსნილია იმით, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომია უფრო სწრაფად მკვიდრდებოდა. მოტანილი მაგალითის მიხედვით, 1996 წელს პოლონეთში შედინებული FDI-ს მოცულობა (\$4.519 მლნ), თითქმის უტოლდებოდა დამოუკიდებელი თანამეგობრობის ქვეყნების (CIS-დსთ) მთლიან მაჩვენებელს (\$5.000 მლნ);

2) *გოლუბევა, ი. (2001). უცხოური ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი გარდამავალ ქვეყნებში. (Foreign Investment Decision-Making in Transition Economies. School of Business Stockholm University. 294 p.).*

ნაშრომში განხილულია უცხოური ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცედურები. აქცენტი კეთდება საწყის მოტივაციებზე, საინვესტიციო გარემოზე, მოსალოდნელ რისკებზე, ბიუროკრატიულ ბარიერებზე, სამართლებრივ საკითხებზე და სხვ. ანალიზი ძირითადად შეეხება 1990-იან წლებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რუსეთსა და ბალტიისპირა გარდამავალ ქვეყნებში (ლიტვა, ლატვა, ესტონეთი) მიმდინარე პროცესების ანალიზს;

3) *ტოკუნადა, მ., ივასაკი, ი. (2017). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დეტერმინანტები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში: მეტა-ანალიზი. (Tokunada, M., Iwasaki, I. The Determinants of Foreign Direct Investment in Transition Economies: A Meta-analysis. J. The World Economy, Wiley Online Library).*

ნაშრომში მოცემულია გამოკვლევების მეტა-ანალიზი, რომლებიც ემპირიულად შეისწავლიან ბოლო 25 წელში ეკონომიკურ გარდაქმნებსა და FDI-ს შედეგებს შორის ურთიერთკავშირს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში;

4) *სალაჰოჯაევი, რ., იულდაშევი, ო., ომანბაიევი ბ. (2016). რა ასტიმულირებს FDI-ს პოსტკომუნისტურ ეკონომიკაში? (Salahodjaev,R., Yuldashev,O., Omanbayev, B. What drives foreign direct investment into post-communist economies?).*

ნაშრომში, 1990-2015 წლების მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკვლეულია პოსტკომუნისტურ ქვეყნებში FDI-ს მოზიდვის განაპირობებელი ფაქტორები. კვლევის შედეგად გაკეთებულია დასკვნა: ქვეყნებსა და მათ რეგიონებში FDI სტაბილურობის ხელშემწყობი ფაქტორია; 2) მოგების ნორმისა და ენერგორესურსებზე ფასების დაცემა ამცირებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. თუმცა, პირველი, რიგ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში FDI-ს ზრდამ პოლიტიკური სიტუაციის გაჯანსაღება და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების მოგვარება ვერ უზრუნველყო; მეორე, ენერგორესურსებზე ფასების შემცირების პირობებშიც ადგილი აქვს უცხოური ინვესტიციების ზრდას;

5) *გოდვინი, ო., ვებსტერი, ა. (2016). პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში (Salahodjaev, Raufhon & Yuldashev, Oybek & Omanbayev, Bekhzod, 2016. "[What drives foreign direct investment into post-communist economies?](#)," [MPRA Paper 73277](#), University Library of Munich, Germany).*

ნაშრომში განხილულია FDI-ს საკითხები ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის, კერძოდ, ცენტრალური აზიის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში. გამოკვლეულია ინვესტიციების მოზიდვის სამამულო ფაქტორები, FDI-ს როლი ეკონომიკურ ზრდაში და სხვ.;

6) *ბარათაშვილი, ე., მაგრაქველიძე, დ. (2009). საქართველოში საინვესტიციო გარემოს სრულყოფის პრინციპები. თბილისი.*

ნაშრომში განხილულია: ინვესტიციების ბაზარი, ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა და ინვესტიციური პროექტების რისკები, საინვესტიციო გარემო და ინვესტიციების პროგნოზირების საკითხები;



7) ხურცია, ლ. (2006). საინვესტიციო საქმიანობის საფინანსო-საკრედიტო რეგულირება საქართველოში. თბილისი.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციების ეკონომიკური შინაარსი, საინვესტიციო საქმიანობის რეგულირების თეორიული საფუძვლები, საინვესტიციო ობიექტების დაფინანსების სამამულო და საგარეო წყაროები, ინვესტიციების მართვა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო საქმიანობის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებები;

8) თეთრუაშვილი, ზ., თეთრუაშვილი, მ. (2006). საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში. თბილისი.

ამ ნაშრომის მეოთხე თავში განხილულია საინვესტიციო საქმიანობის არსი, გარემოს თანამედროვე მდგომარეობა, შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები და მათი გაუმჯობესების პრობლემები.

9) ქოქიაური, ლ. (2007). ინვესტიციების თეორიული გენეზისი. თბილისი.

ნაშრომში განხილულია ინვესტიციების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები (თავი 3). კერძოდ, ინვესტიციების თეორიის: გენეზისი და მოდელები, მიკრო-მაკროეკონომიკური ასპექტები. მათი ნაწილი გამოყენებულია წინამდებარე კვლევაში;

10) სიხარულიძე, დ., ჭარაია, ვ. (2018). OLI პარადიგმა და საქართველოს საინვესტიციო პოზიცია. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი ეკონომიკა და ბიზნესი. ევროპის უნივერსიტეტი. №5. თბილისი, გვ. 71-77.

ზემოაღნიშნული და სხვ. ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ წინამდებარე სადისერტაციო საკვლევი პრობლემის სხვადასხვა ასპექტის მეცნიერულ დამუშავებას. თუმცა, გლობალიზაციის ფონზე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოცწლიანი პერიოდის (1996-2016 წწ.) შედარებითი ევოლუციური ტენდენციები კომპლექსურად გამოკვლეული არ არის. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან განხილულ და სხვ. ნაშრომებში გამოცემულია წინა პერიოდის საკითხები და ცხადია მათში კომპლექსურად ვერ აისახებოდა საკვლევი პერიოდისდრინდელი ტენდენციები. აქედან გამომდინარე, საკვლევი პრობლემის კომპლექსურად შესწავლის მცდელობას ეძღვნება წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი.

### კვლევის მეცნიერული სიახლე:

გლობალური ტენდენციების ფონზე, პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, უპირატესად საქართველოში, 1996-2016 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ტენდენციების კომპლექსურად გამოკვლევის მცდელობა. ამ მიმართულებით, მიღებულია შემდეგი კვლევითი შედეგები:

- 1) მიმდინარე ეტაპზე არ არსებობს არც ტრადიციული, არც თანამედროვე დოქტრინა, რომელიც ამომწურავად დაასაბუთებს FDI-ს ნაკადების ზრდა-შემცირების განმაპირობებელ მიზეზებს და აქედან გამომდინარე, უმჯობესია FDI-ს მიმართ გამოვიყენოთ სხვადასხვა დოქტრინის კრებსითი-სინთეზური მოდელი. (გვ.18-28);
- 2) საკვლევ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა, გლობალური FDI-ს შედინება-გაღინების მასშტაბები, თუმცა მსოფლიოს ლიდერთა ათეულში უკვე გამოჩნდნენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნები. მსოფლიოს ჯამური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ ჯერჯერობით ვერ მიაღწია 2007 წლის დონეს. პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეედინება და მათ უკვე გადალახეს კრიზისამდელი - 2007 წლის დონე. (გვ. 43-73);
- 3) პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის (სსპ) მზარდი მაჩვენებლები დაფიქსირდა სომხეთში, ბელორუსში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში, ხოლო ბალტიისპირა პოსტსაბჭოურ -ამჟამად ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში ეს მაჩვენებელი კლებადი ტენდენციისაა. (გვ. 73-81);
- 4) FDI-ს წმინდა შედინებით ლიდერი ქვეყნებია: რუსეთი, ყაზახეთი, უკრაინა, თურქმენეთი და აზერბაიჯანი. ყველაზე ნაკლები „ინვესტიცია მიიღო“ ტაჯიკეთმა, მოლდოვამ, ყირგიზეთმა, სომხეთმა და უზბეკეთმა. საქართველოში, საკვლევ პერიოდში, FDI-ს წმინდა შედინების მაჩვენებელმა 18 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რაც მეტია მშპ-ს წლიურ მაჩვენებელზე. ბოლო წლებში FDI-ს მოცულობა მკვეთრად შეიკვეცა

უკრაინაში და რუსეთში განსაკუთრებით მათ შორის ომის შემდგომ პერიოდში. (გვ.100-105);

- 5) მშპ-ში FDI-ს წმინდა შედინების წილის (%) მიხედვით, პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს: აზერბაიჯანს, თურქმენეთს, ესტონეთს, საქართველოს, ყირგიზეთს, ხოლო მოსახლეობის 1 სულზე, FDI-ს წმინდა გადინებით დაწინაურდა აზერბაიჯანი და ესტონეთი (2003, 2007, 2012) და ლიტვა და აზერბაიჯანი (2016). (გვ.100-106);
- 6) პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ინვესტიციების გადინების შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აქვს: აზერბაიჯანს, ყაზახეთს და რუსეთს, ხოლო მშპ-ში FDI-ს წმინდა გადინების წილით (%) მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა აზერბაიჯანში (2005). მოსახლეობის 1 სულზე FDI-ს წმინდა გადინების მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს ესტონეთში და აზერბაიჯანში (გვ.106-115);
- 7) FDI-ს ჯამური მაჩვენებლებით საქართველოში ლიდერობენ: აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, აშშ და თურქეთი; FDI ასიმეტრიულად ნაწილება საქართველოს რეგიონებს შორის “ცენტრის” დიდი უპირატესობით; საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში დაიხარჯა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით მცირე რაოდენობა, განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში. (გვ.123-136);
- 8) საქართველოსა და მისი უახლოესი ქვეყნების მონაცემთა შედარება ადასტურებს, რომ FDI-ს წმინდა შედინების მიხედვით 2016 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს, მშპ-ში FDI-ს წმინდა შედინებით და გადინებით ლიდერობს აზერბაიჯანი; ევროკავშირის ახალი პოსტსაბჭოთა ასოცირებულ წევრ-ქვეყნებს შორის FDI-ის წმინდა შედინების წილით (%) მშპ-ში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს. (გვ. 143-151);
- 9) საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 2-ჯერ მეტად აღემატება დსთ-ს ქვეყნებიდან მიღებულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. (გვ. 123-125).

## **კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა**

კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია:

- უმაღლეს სასწავლებლებში ისეთი კურსების სწავლებისას, როგორცაა: მსოფლიო ეკონომიკა, ევროკავშირის ეკონომიკა, საერთაშორისო ეკონომიკა, საინვესტიციო საქმიანობა, გარდამავალი ეკონომიკა, ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში, საერთაშორისო ბიზნესი, ეკონომიკის პრინციპები, ეკონომიკური პოლიტიკა; ეკონომიკისა და ეკონომიკური აზროვნების ისტორია;
- აღნიშნული მიმართულებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
- მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას და სხვ.

## **ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია**

სადისერტაციო კვლევის ძირითადი შედეგები მოხსენდა 4 საერთაშორისო სამეცნიერო და 1 სტუდენტთა საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციას. კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია საქართველოსა და საზღვარგარეთ ჟურნალებსა და სამეცნიერო ნაშრომთა კრებულებში, მათ შორის, 4 სტატია ERIHPLUS- EBSCO(3) -ს ინდექსირებულ ჟურნალებში.

ნაშრომმა დასრულებული სახით საბოლოო აპრობაცია გაიარა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე. სადოქტორო კვლევა რეკომენდირებული იქნა საჯარო დაცვისათვის.

## **ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:**

ნაშრომის მთლიანი მოცულობა წარმოდგენილია წარმოდგენილია კომპიუტერზე ნაბეჭდ 180 გვერდზე. იგი შედგება შესავალის, სამი თავისა და დასკვნისაგან, რომელსაც თან ერთვის ლიტერატურის სია.

ნაშრომის შესავალში დასაბუთებულია კვლევის აქტუალობა, ობიექტი, მიზანი, ამოცანები, ობიექტი, საგანი, კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური

საფუძვლები, პრობლემის შესწავლის მდგომარეობა, მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ თავში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) თეორიულ-მეთოდოლოგიური და სამართლებრივი საფუძვლები,“ განხილულია საკვლევი პრობლემის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, კერძოდ: გადმოცემულია თანამედროვე მსოფლიო თუ ეროვნულ ეკონომიკებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მსოფლიო ნაკადების მზარდი მნიშვნელობის შესახებ. წარმოდგენილია: ინვესტიციების სტრუქტურა და არსი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და საერთაშორისო სანვესტიციო პოზიციის გაანგარიშების საერთაშორისო მეთოდოლოგია; შედინებადი, გადინებადი და წმინდა ინვესტიციები; FDI-ის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროები; გაანალიზებულია FDI-ის შესახებ სხვადასხვა დოქტრინა, რის შედეგადაც გაკეთებულია დასკვნა, რომ FDI-ის კვლევაში მხოლოდ ერთი რომელიმე დოქტრინის ბაზად გამოყენებაზე უმჯობესი, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, სხვადასხვა თეორიის სინთეზური გამოყენებაა; განხილულია საქართველოში ინვესტიციების შესახებ საკანონმდებლო ბაზა და ჩამოყალიბებულია კონკრეტული წინადადებები მათ დასახვეწად, შეჯამებულია კვლევის შედეგები:

- საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წასახალისებლად, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე გადაიდგა პირველი ნაბიჯები, შემდგომში კი ამ მიმართულებით ინტენსიური სამუშაოები წარიმართა, ამ კანონმდებლობის დასახვეწად მუშაობა გრძელდება;
- ქვეყანაში უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს სამამულო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირი. თუმცა, აქ სიფრხილეც გემართებს, რადგან თუ სამამულო ინვესტორის საკუთრება დაუცველია, მაშინ ეს შეიძლება შეეხოს უცხოელ ინვესტორსაც;
- უცხოელი ინვესტორისთვის პოზიტიურია, რომ მას შეუძლია სამუშაოზე მიიღოს უცხოელი მუშახელი ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ნორმა ვფიქრობთ დამატებით განხილვას საჭიროებს, რამდენადაც მიმდინარე გლობალურ კონკურენციაში ადგილობრივი პერსონალი ამ ეტაპზე ხშირად ნაკლებად კონკურენტუნარიანია უცხოელებთან შედარებით;

- გაუმართლებელია, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირს - სააქციო საზოგადოება - საპარტნიორო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობდეს უმაღლესი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირი, მითუმეტეს, რომ კანონმდებლობა სამეწარმეო საქმიანობაში საჯარო მოხელეების მონაწილეობას კრძალავს;
- კერძო სამართლის იურიდიულ პირს – ს.ს. საპარტნიორო ფონდის უფლებამოსილებაში არ უნდა შედიოდეს საჯარო ფუნქციების განხორციელება: განკარგოს განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი სახელმწიფოს კუთვნილი წილი/აქციები; მიიღოს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სახელმწიფო გარანტიით მოზიდული გრანტები;
- „ფონდს“, როგორც ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებას, არ უნდა შეეძლოს მაგ. „რკინიგზის“, „თელასის“ და სხვ. წილების მართვა, მათგან დივიდენდების მიღება, რაც კანონმდებლობით, ქვეყანაში სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება.

ნაშრომის მეორე თავში „გლობალური ეკონომიკური ტენდენციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI)“, გამოკვლეულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გლობალიზაციის პირობებში, კერძოდ: გლობალური ეკონომიკური ინდიკატორები; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: „ლიდერი ქვეყნები, რეგიონები“, ევროპული ტენდენცია; საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ). კვლევის შედეგად გამოყოფილია შემდეგი ტენდენციები:

- მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკაში ჩამოყალიბებული ძირითადი ტენდენციის მიხედვით, ქვეყნების უმრავლესობა უცხოურ ინვესტიციების მოზიდვას ასტიმულირებს, მაგრამ არც თუ იშვიათად, ინვესტიციების მიმღები ქვეყნიდან ინვესტიციების გატანაზე ბარიერები წესდება;
- გლობალურად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, მაგრამ მსოფლიოს ჯამური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ (ისე, როგორც განვითარებულ ქვეყნებში) ჯერჯერობით ვერ მიაღწია 2007 წლის დონეს. ამავდროულად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი ნაკადი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეედინება და მათ უკვე გადალახეს კრიზისამდელი - 2007 წლის დონე;

- განვითარებული ეკონომიკები მყარად ლიდერობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც შედინების, ასევე გადინების მიმართულებით. ამ ფონზე, ბოლო წლებში, გარდამავალი ეკონომიკებში შემცირდა FDI-ს შედინებისა და გადინების მაჩვენებლები. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში (რუსეთი, უკრაინა...) გაიზარდა FDI-ს გადინების მაჩვენებლები;
- ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებით, მსოფლიოს 10 ლიდერ - ქვეყანას შორის უკვე ფიგურირებენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკები. ამასთან, ბოლო წლებში მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულნი გახდნენ მომპოვებელ დარგებში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებზე;
- დადგენილია ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს შედინება-გადინების ყველაზე მაღალი მაჩვენებლების მქონე ქვეყნები;
- პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (გარდა რუსეთისა), საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია უარყოფით მაჩვენებლებში გამოისახება სომხეთში, ბელორუსში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, ტაჯიკეთში და სხ.

ნაშრომის მესამე თავში „პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: პოსტსაბჭოური ტენდენციები“ გამოკვლეულია: მსოფლიო და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკური ინდიკატორების შედარებითი მაჩვენებლები; პირდაპირი უცხოური ინვესტიციები პოსტსაბჭოურ ქვეყნებში – წმინდა, შედინება, გადინება (მათი წილი მშპ-ში), მოსახლეობის 1 სულზე შედინება-გადინება, საქართველოში FDI ქვეყნების მიხედვით, ეკონომიკის სექტორებისა და რეგიონების მიხედვით, FDI-ს ზოგიერთი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი საქართველოსა და მისი უახლოეს მეზობელ ქვეყნებში და სხვ. უფრო კონკრეტულად განხილულია:

- FDI-ს წმინდა შედინებით, მშპ-ში FDI-ს წმინდა შედინების წილის (%) მიხედვით, ლიდერი ქვეყნების მაჩვენებლები. ამ მხრივ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა აზერბაიჯანში. FDI-ს გადინებაში აზერბაიჯანი და ყაზახეთი ლიდერობენ, რაც დიდწილად ენერგორესურსების ექსპორტს უკავშირდება;
- საკვლევე წლებში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა ევროკავშირის ქვეყნებთან. თუმცა, ამ პერიოდში ფიქსირდება FDI-ს

ასიმეტრიული გადანაწილება საქართველოს რეგიონებს შორის, მისი აბსოლუტური უმრავლესობა იხარჯება დედაქალაქში და ბათუმში, მიზერული ინვესტიციებია მიმართული სოფლის მეურნეობის სექტორში. ამასთან, საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე FDI -ს წმინდა შედინებამ, FDI -ს წმინდა გადინებამ და წმინდა FDI-მა მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2017წელს. საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს წმინდა შედინების მიხედვით, 2016 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს, 2007 წელს ამ მხრივ ლიდერობდა აზერბაიჯანი.

სადისერტაციო კვლევის ფარგლებში დისერტანტის მიერ, დადგენილი წესების შესაბამისად, გამოქვეყნდა რამდენიმე ნაშრომი, მათ შორის ძირითადი:

- 1) Silagadze, L. (2018). FOREIGN DIRECT INVESTMENTS (FDI) IN THE NEW ASSOCIATE MEMBER STATES (Comparative Analysis). Ecoforum Journal. Vol 7, No 1(14).
- 2) Silagadze, L. (2018). FOREIGN DIRECT INVESTMENT INFLOW IN 1997-2016 YEARSIN GEORGIA, UKRAINE AND MOLDOVA (COMPARABLE ANALYSIS). INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL JOURNAL „GLOBALIZATION AND BUSINESS“. No 5/2018, PP. 143-147.
- 3) Silagadze, L. (2017). Foreign Direct Investment in the Post-Soviet Period: The Case of Georgia. Ecoforum Journal. Volume 6, Issue 1(10);
- 4) Silagadze, L. (2016). Some Aspects of the Georgian Economy at the Contemporary Stage. Ecoforum Journal. Vol. 5. №2, pp. 70-73. (c./a.-1);
- 5) სილაგაძე, ლ. (2015). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გენეზის ასპექტები. თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. ჟურნალი ეკონომისტი, №5, გვ. 53-57;
- 6) Silagadze, L. (2017). Foreign Direct Investment inflow in Armenia, Azernaijan and Georgia (Comparable analysis) - MODERN CHALLENGES, CURRENT SCIENTIFIC PROBLEMS AND EU INTEGRATION. Tbilisi Teaching University 2017. Tbilisi, pp.47-49;
- 7) სილაგაძე, ლ. (2017). მთლიანი შიგა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თანაფარდობა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში - ეკონომიკური განვი-



თარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები (23-24/06). თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომც-ბა. თბილისი, გვ. 515-517;

8) სილაგაძე, ლ. (2016). „პორტფელური ინვესტიციების“ დოქტრინის შესახებ - ინოვაციური ეკონომიკა და მისი ფორმირების პრობლემები პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (1-2 ივლისი, 2016). თსუ. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომც-ბა. თბილისი, გვ. 533-535;

9) სილაგაძე, ლ. (2016). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი. სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. თსუ. თბილისი, გვ. 234-239.

დისერტანტმა კვლევის შედეგები წარადგინა შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე:

1) მესამე საერთაშორისო კონფერენციის „თანამედროვე გლობალიზაციის აქტუალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები“ მასალები. ევროპის უნივერსიტეტი. 30/06. თბილისი, 2018. მომხსენებელი;

2) პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: კრებული ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები (23-24 ივნისი, 2017). თბილისი. მომხსენებელი;

3) Participated in the international scientific practical conference “Modern challenges, Current Scientific Problems and EU Integration”. 22-23 November, 2017. Georgian Technical University. Tbilisi. Reporter;

4) პაატა გუგუშვილის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (1-2 ივლისი, 2016 წელი). თბილისი. მომხსენებელი;

5) სტუდენტთა 76-ე საუნივერსიტეტო სამეცნიერო კონფერენცია. მომხსენებელი. თსუ. თბილისი, 2016.

# თავი 1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლები

## 1.1. თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

თანამედროვე მსოფლიო თუ ეროვნულ ეკონომიკებში პირდაპირი ინვესტიციების მსოფლიო ნაკადები კიდევ უფრო უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. განვითარების დონის მიუხედავად, ნებისმიერი ქვეყანა ცდილობს უცხოური ინვესტიციებიდან მეტი სარგებლის მიღებას.

როგორც ცნობილია, ტერმინი ინვესტიცია (ლათ. Investiere – აღჭურვა) სხვადასხვა ქვეყნის კონკრეტულ მეწარმეობრივ საქმიანობაში კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება მოგების მიღების მიზნით. ცნობილია<sup>1</sup> ისიც, რომ *საგადასახდელი ბალანსი* ასახავს გარკვეულ დროში სამამულო ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. იგი შედგება ორი ძირითადი ანგარიშისგან: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში. მათგან ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს. ისინი იყოფა: პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად, ფინანსურ წარმოებულებად, სხვა ინვესტიციებად და სარეზერვო აქტივებად. ინვესტიციებში გამოიყოფენ: პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (FDI), „პორტფელურ ინვესტიციებს“ და სხვ. ინვესტიციებს. მათგან:

ა) პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემთხვევაში ინვესტორი უნდა ფლობდეს ეკონომიკურ სუბიექტში აქციების, წილის 10 პროცენტს ან მეტს. მის შესახებ ძირითად ინფორმაციას მოიპოვებს სტატისტიკის ოფიციალური სამსახური საწარმოთა გამოკვლევებიდან;

ბ) „პორტფელური ინვესტიციის“ პირობებში ინვესტორი ფლობს საწარმოს აქციების, წილის 10 პროცენტზე ნაკლებს და სხვ. მას ასევე მიეკუთვნება არარეზიდენტი საწარმოს მიერ გამოშვებული სხვადასხვა ფასიანი ქაღალდების

<sup>1</sup> <https://www.nbg.gov.ge...>, 20.04.2018.

მფლობელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან საწარმოთა საწესდებო კაპიტალში მონაწილეობით;

გ) სხვა ინვესტიციებში შედის: ვაჭრობის კრედიტები და ავანსები (წარმოიქმნება საგარეო ვაჭრობაში), სესხები (მოკლე და გრძელვადიანი), ნაღდი ფული, დეპოზიტები და სხვ.

ამასთან, სტრუქტურულად გამოიყოფა სხვადასხვა სახის ინვესტიცია, მათ შორის: *სახელმწიფოებრივი* - ხორციელდება სახელმწიფო ფინანსური სახსრებიდან; *უცხოური* - ახორციელებენ უცხოური სახელმწიფოები, ფიზიკური და იურიდიული პირები; *კერძო* - იქმნება კერძო პირების კორპორაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისგან...

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, გლობალური ფინანსური ბაზრების განვითარების ტენდენციებში სწორად გარკვევა შეუძლებელია მეთოდოლოგიურად დასაბუთებული სტატისტიკური ინფორმაციის გარეშე. ცხადია, აუცილებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის არსებობაც. ეს მიდგომა ეხება საქართველოსაც, რომლის ეკონომიკა ღია ტიპისაა და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია უცხოურ ინვესტიციებზე.

FDI სხვადასხვა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით<sup>2</sup>: იგი გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე; სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში 2007 წლიდან საგადასახდელო ბალანსის შედგენაზე პასუხისმგებელია ეროვნული ბანკი; საქართველოში FDI-ს გაიანგარიშება 1997 წლიდან სსფ-ს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის „საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო“ (სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 1993წ., მეხუთე გამოცემა), ხოლო 2009 წლიდან „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ (სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008 წ.). საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის (სსპ) შესაფასებლად საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ) ჯერ

<sup>2</sup> <http://geostat.ge> 20.04.2018.

კიდევ 2002 წელს შეიმუშავა შესაბამისი მეთოდოლოგია<sup>3</sup>. საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის: „საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ მე-6 გამოცემასთან<sup>4</sup>.

ჩვენი კვლევის საგანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები იყოფა *შედინებად* (უცხოელი ინვესტორების მიერ კონკრეტულ ქვეყანაში განხორციელებული), *გადინებად* (კონკრეტული ქვეყნის სუბიექტების მიერ უცხოეთში განხორციელებული) და *წმინდა* ინვესტიციებად. შედინებად და გადინებად ინვესტიციებს შორის თანაფარდობა გვიჩვენებს ქვეყნის *საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას (სსპ)*. მაგალითად, თუ ქვეყანა წმინდა-ექსპორტიორია, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნიდან გადინებული პირდაპირი ინვესტიციის ჯამური მაჩვენებელი აღემატება ამ ქვეყანაში შედინებულ პირდაპირი ინვესტიციის ჯამურ მაჩვენებელს.

სპეციალისტთა უმრავლესობა FDI-ს მიმღებ ქვეყნებში დადებითად აფასებს და მართლაც მათი მიზნობრივი გამოყენება შეიძლება გახდეს განვითარების დამატებითი სტიმული პროდუქტიულობის ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. FDI, როგორც წესი, ხდება ახალი ცოდნის, ტექნოლოგიების, მენეჯმენტის უნარების შექმნის, ეკონომიკის ინვესტირების და ინტეგრაციულ პროცესებში ჩაბმის დამატებითი შესაძლებლობა. თუმცა, მსოფლიო პრაქტიკა ასევე ცხადყოფს „არამიზნობრივი ინვესტიციების“ ნეგატიურ შედეგებსაც, რაც აისახება ეროვნული მწარმოებლების შეზღუდვაში, ეროვნული რესურსების აუმოქმედებლობაში, ზემოგებების ქვეყნის გარეთ გატანაში და სხვ.

FDI-ის დადებით და უარყოფით შედეგებზე საუბრის შემდეგ, გაგაანალიზოთ მისი მამოძრავებელი მოტივები. ინვესტიციების ბაზად მხოლოდ ერთი რომელიმე დოქტრინის გამოყენება მიზანშეუწონელია რამეთუ გასათვალისწინებელია კონკრეტული გარემოება. უმეტესობის აზრით, ეროვნულ ეკონომიკაში უცხოური

---

<sup>3</sup> <https://www.imf.org/external/np/sta/iip/guide/rus/iiprus.pdf>

<sup>4</sup> „Balance of Payments and International Investment Position Manual. Sixth Edition (BPM6)“. International Monetary Fund. Washington, 2009.

კაპიტალის გონივრულად გამოყენება პოზიტიურ როლს ასრულებს. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი (1974) შვედი ეკონომისტი კარლ გუნარ მიურდალი (1898-1987) წერდა: უცხოურ ინვესტიციებს სუსტი ქვეყნების განვითარებაში დადებითი როლის შესრულება შეუძლიათ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის ხელს შეუწყობს ადგილობრივი რესურსების ამოქმედებას<sup>5</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაგაანალიზოთ FDI-ს ზოგიერთი თეორიული კონცეფცია იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ასტიმულირებენ FDI-ს განხორციელებას. საქმე ისაა, რომ FDI-ს თეორია არც თუ ბევრია და მათი პოპულარობა ძირითადად უკავშირდება წინა საუკუნის მეორე ნახევარს, როდესაც ეკონომიკის გლობალიზაციის მასშტაბები გაღრმავდა. უფრო ადრე, მე-19 საუკუნეში, კლასიკური ეკონომიკური დოქტრინები საერთაშორისო ვაჭრობას განიხილავდნენ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციის მამოძრავებელ ძალას.

თანამედროვე ეტაპზე, განვითარების დონის მიუხედავად, ქვეყნები დაინტერესებულნი არიან უცხოური ინვესტიციების მოზიდვით, გადინებით და მათგან არაპირდაპირი თუ პირდაპირი ეფექტების მიღებით. FDI-ს შედინების როლი უფრო დადებითია, ვინაიდან იგი აჩქარებს ქვეყანაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვას, პროდუქტიულობისა და დასაქმების დონის ზრდას.

FDI-ს შედინების უარყოფითი შედეგი შეიძლება იყოს, ადგილობრივი მეწარმეების შევიწროება, ეროვნულ წარმოებაზე კონტროლის დაკარგვა, ექსპორტის ნედლეულის სექტორში ზემოგებაზე კონცენტრირება, ეროვნული რესურსების გამოუყენებლობა, მიმღები ქვეყნის ვაჭრობის ბალანსის გაუარესება და სხვ.

ზემოაღნიშნული ეფექტების გამოკვლევა საკმაოდ რთულია, რამდენადაც თავად ინვესტირების პროცესია რთული და დამოკიდებული ქვეყნის საშინაო და საგარეო ფაქტორებზე. ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, FDI-ის რომელიმე ერთი თეორიის ბაზად გამოყენებას, აჯობებს სხვადასხვა თეორიების სინთეზური გამოყენება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე.

ზოგადად, მრავალი თეორია (კლასიკური, ნეოკლასიკური, მარქსისტული, კეინზური, „სინთეზის“ და სხვ.) ცდილობს ახსნას თუ რა არის კაპიტალის ნაკადების განმაპირობებელი მიზეზები. თანამედროვე პერიოდში საერთაშორისო

---

<sup>5</sup> Myrdal, K.G. (1968). Asian Drama: An Inquiry into the Poverty of Nations. Vol. I-III. N.Y.

ვაჭრობისადმი მიდგომებში ბევრი რამ შეიცვალა და ისინი უკვე „კლასიკური“ დოქტრინებიდან აღარ გამოდინარებენ. ცნობილია, რომ ნეოკლასიკური თეორია განვითარდა საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიის ჩარჩოებში. ამ თვალსაზრისით, მისი ერთ-ერთი საფუძველია დ. რიკარდოს (1772-1823) შედარებითი უპირატესობის დოქტრინა საერთაშორისო ვაჭრობაში<sup>6</sup>. მასზე დაყრდობით დიდბრიტანელმა ჯ. ს. მილმა მე-19 საუკუნეში ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა მოგების ნორმებში განსხვავებებთან დააკავშირა<sup>7</sup>. კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მოდელები ჩამოაყალიბეს ე. ჰეკშერმა და ბ. ოლინმა, რ. ნურკსემ და კ. ივერსენმა. კერძოდ, შვედი ეკონომისტის ელი ჰეკშერის (1899-1979)<sup>8</sup> დასკვნით, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდით, წარმოების ფაქტორებზე საერთაშორისო ფასები გამოთანაბრდება. კიდევ ერთი ცნობილი შვედი ეკონომისტ-ნობელიანტის (1977) ბ. ოლინის (1899-1979) მიხედვით<sup>9</sup>, საერთაშორისო ვაჭრობას ასტმულირებს ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორებზე განსხვავებული შემოსავლები. ჰეკშერ-ოლინის მოდელით, საერთაშორისო ვაჭრობაში ჭარბი რესურსის შედარებითი უპირატესობის მქონე კონკრეტული ქვეყანისთვის ამ რესურსებით წარმოებული საქონლის ექსპორტი მოგებიანია. ეს ქვეყნები ასევე მოიგებენ თუ მოახდენენ იმ საქონლის იმპორტს, რომლის წარმოება ქვეყანაში უფრო ძვირია<sup>10</sup>. ესტონური წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტის რაგნარ ნურკსეს (Ragnar Nurkse:1907-1959) „სიღარიბის მოჯადოებული წრის“ მოდელით, ღარიბი ქვეყნები დამოუკიდებლად ვერ დაძლევენ სიღარიბეს, რადგან მათი მცირე შემოსავალი ვერ უზრუნველყოფს წარმოების ინვესტირებას. აქედან გამოსავალი - უცხოური ინვესტიციების შედინებაშია<sup>11</sup>.

მარქსისტულმა მოდელმა კაპიტალის გატანის მიზეზი ქვეყანაში მის სიჭარბესთან დააკავშირა. ამ მიზეზს ნეომარქსისტებმა დაამატეს: წარმოების მზარდი

<sup>6</sup> რიკარდო, დ. (1937). პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძველები. თარგმანი პროფ. ფ.გოგიანიშვილისა. ტფილისი.

<sup>7</sup> Mill, J.S.(1844). Essays on Some Unsettled Questions of Political Economy. London.

<sup>8</sup> Heckscher,E. (2007). International Trade, and Economic History, Findlay, Ronald, Rolf G. H. Henriksson, Håkan Lindgren and Mats Lundahl, eds., The MIT Press.

<sup>9</sup> Ohlin,B. (1933). Patterns of Trade and Development. Stocholm.

<sup>10</sup> The Heckscher-Ohlin Trade Model <http://www2.econ.iastate.edu/classes/econ355/choi/ho.htm>

<sup>11</sup> Nurkse, R. (2011). Trade and Development», Rainer Kattel, Jan A. Kregel, Erik S. Reinert Anthem Press.

ინტერნაციონალიზაცია, მონოპოლიების გაძლიერებული კონკურენცია და განვითარების სწრაფი ტემპები.

ნეოკეინზური მოდელი ქვეყანაში კაპიტალის მიმოქცევასა და საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობას შორის მაკროეკონომიკურ ანალიზს ეყრდნობა. იგი საფუძვლად დაედო საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების მიერ განვითარებადი ქვეყნების დახმარების პოლიტიკას. თავად ჯ. მ. კეინზის (1883-1946) აზრით, კაპიტალის მიმოქცევას განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის დაუბალანსებლობა. იგი, ბ. ოლინთან კამათში ხაზს უსვამს, რომ ქვეყნიდან კაპიტალი მაშინ გადის, როდესაც პროდუქტის ექსპორტი აჭარბებს იმპორტს, და მათი თანაფარდობის დარღვევისას აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა<sup>12</sup>. დიდბრიტანელი ეკონომისტის რ. ჰაროდის (Roy Forbes Harrod; 1900-1978) „ეკონომიკური დინამიკის“ მოდელით: რაც ნაკლებია კაპიტალით მდიდარი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, მით მეტია მისგან კაპიტალის გატანის სურვილი<sup>13</sup>. ასევე, დიდბრიტანელი კეინზელი ჯეიმზ ედუარდ მიდი (Meade, 1907-1995, 1977 წლის ნობელიანტი „საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის საერთაშორისო დინამიკის თეორიაში შეტანილი ნოვატორული წვლილისთვის“), ნაშრომში „საერთაშორისო ვაჭრობის გეომეტრია“ (1948) იყენებს ტერმინს „საერთაშორისო ვაჭრობის პეპელა“, სადაც საერთაშორისო წონასწორობა აღწერილია ორი ქვეყნისა და ორი სახეობის საქონლის პირობებში. მისი დასკვნით: საერთაშორისო ვაჭრობაში საერთაშორისო ბარიერების მოხსნა მნიშვნელოვანია; იმპორტზე ბაჟი არის სალდო ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებში საქონელთა ფასებს შორის<sup>14</sup>.

ნეოკლასიკური სინთეზის დოქტრინის მამამთავარმა - ნობელიანტმა პოლ სამუელსონმა (1915-2003) ვ. ფ. სტოლპერთან ერთობლივ სტატიაში<sup>15</sup> განავითარა ჰეკშერ-ოლინის მოდელი. კერძოდ, წინა პლანზე წამოსწია საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების საკითხი, რომლითაც კაპიტალით და მუშახელით მდიდარი ქვეყნები, რომლებიც შესაბამისად კაპიტალტევადი და შრომატევადი პროდუქტის წარმოებაზე სპეციალდებიან, საბოლოო ჯამში იწვევენ კაპიტალზე და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას. ეს მიდგომა განავრცო კიდევ ერთმა ამერიკელმა ნობელიანტმა (1981) ეკონომისტმა

<sup>12</sup> კეინზი, ჯ. მ. (1936-1995). დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი.

<sup>13</sup> Harrod, R. (1948). Towards a Dynamic Economics. London.

<sup>14</sup> Meade, J. E. (1952). A Geometry of International Trade. London.

<sup>15</sup> The Collected Scientific Papers of Paul A. Samuelson, V. 2, გვ. 831-846.

ჯეიმზ ტობინმა (Tobin, 1918-2002). მან 70-იან წლებში დასვა საკითხი უცხოური ვალუტის ოპერაციებზე გადასახადების 0.1-0.25%-ის ფარგლებში დაწესების შესახებ. მისი აზრით, ასეთი გადასახადი წელიწადში მოიტანდა 150 მლრდ დოლარამდე თანხას, რომელიც უნდა გადაენაწილებიათ ცენტრალურ (ეროვნულ) ბანკებსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს შორის და დაეხარჯათ სუსტად განვითარებულ ქვეყნებში სიღარიბის დასაძლევად, განათლებაზე, ჯანდაცვაზე და ეკონომიკის აღორძინებაზე. ანტიგლობალისტები ასეთ მიდგომას იწონებდნენ, მაგრამ ნეოლიბერალების უმეტესობა არა! ამ უკანასკნელთა ლოგიკით, ასეთი გადასახადის დამწესელი ქვეყანა იზოლაციაში აღმოჩნდება და ვერ განვითარდება<sup>16</sup>. ჯ. ტობინის „გადასახადი“ ევროკავშირის ქვეყნების დავალიანებასთან მიმართებით, ისევ დღის წესრიგში დაისვა გერმანიისა და საფრანგეთის მიერ, მაგრამ მას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა დიდბრიტანეთისა და ევროზონის სხვ. ქვეყნების მხრიდან და საკითხი ღიად დარჩა<sup>17</sup>.

ცნობილია „მფრინავი ბატების“ თეორია, რომელიც შეიმუშავა იაპონელმა ეკონომისტმა კ. აკამაცუმ (1932)<sup>18</sup> და განავითარა ასევე იაპონელმა კ. კოძიმამ (1978) და თ. ოზავამ (1995). აკამაცუს მიხედვით, დარგის განვითარებაში სამი ფაზა გამოიყოფა: 1) უცხოელი მწარმოებლების მიერ ეკონომიკას პროდუქტი იმპორტით მიეწოდება; 2) მზარდი ეროვნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად იხსნება ახალი ადგილობრივი საწარმოები; 3) ნამეტი პროდუქტი ექსპორტირდება ახალ უცხოურ ბაზრებზე.

კ. აკამაცუს მიგნებით, იმპორტის, სამამულო წარმოების და ექსპორტის თანდათანობითი გამოჩენა გრაფიკულად ველური ბატების ფრენას წააგავს. იგი წარმოადგენს „მდევარი“ ქვეყნის კონცეფციის სახეობას, ქვეყნისა, რომელიც ადრე არ აწარმოებდა მასობრივ და კონკურენტუნარიან საქონელს. შემდგომში, კ. აკამაცუს თეორიას კ. კოძიმამ დაუმატა მეოთხე სტადია, რომელზედაც „ჩამორჩენილ“ ქვეყანაში მიმდინარეობს ადგილობრივი წარმოებისა და ექსპორტის

<sup>16</sup> [wikipedia.org/wiki/Тобин,\\_Джеймс](http://wikipedia.org/wiki/Тобин,_Джеймс); The Tobin Tax. New York, Oxford, 1996 - [cowles.econ.yale.edu/archive/reprints/tobin-tax-96.pdf](http://cowles.econ.yale.edu/archive/reprints/tobin-tax-96.pdf) 21.04.2018.

<sup>17</sup> [euronews.com/2012/01/09/opposition-mounts-to-financial-transaction-tax/](http://euronews.com/2012/01/09/opposition-mounts-to-financial-transaction-tax/) 21.04.2018.

<sup>18</sup> [infeconomy.ru/ininv/970--l-r.html](http://infeconomy.ru/ininv/970--l-r.html) 21.04.2018.



შენაცვლება ოფშორული პროდუქტით და იმპორტის განახლებით, მაგრამ უკვე „წარმატებული“ ქვეყნებიდან. ეს კონცეფცია შემდგომში კიდევ განავრცოთ. ოზავამ: უცხოური კომპანიების ტექნოლოგიური და ფინანსური დახმარებები FDI-ს მეშვეობით, განვითარებად ქვეყნებში გააძლიერებს ეკონომიკურ პროგრესს, რომლებიც განავითარებენ სამამულო პროდუქტის მწარმოებელ დარგებს<sup>19</sup>. კ. აკამაცუმ თავისი მოდელი შეიმუშავა იაპონიის საფეიქრო დარგის ნახევარსაუკუნოვან განვითარებაზე დაკვირვების შედეგად. მოგვიანებით, ეს მოდელი გამოიყენეს ახალინდუსტრიულ (სამხრეთ კორეა, ტაივანი...) და განვითარებად ქვეყნებში (ტაილანდი, მალაიზია...)²⁰.

მთლიანობაში, „მფრინავი ბატების“ თეორია რ. ვერნონის თეორიის გაგრძელებაა FDI-ს განხორციელების მიმართულებით.

ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტკკ) განსაკუთრებული ზრდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფიქსირდება. შესაბამისი თეორია ტკკ-ის წარმოშობისა და მათ მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების თავისებურებებს იკვლევს - ეს მიდგომა 1950-60-იან წლებში წარმოიშვა. ტკკ-ს თავდაპირველად ფირმის თეორიის ფარგლებში შეისწავლიდნენ, შემდეგ კი დამოუკიდებელი კონცეფციების ფარგლებში. მათი საფუძველია ამერიკელი ეკონომისტების იდეები<sup>21</sup>: ფირმას საზღვარგარეთ პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებისას ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით, უპირატესობა უნდა ჰქონდეს (ს. ჰაიმერი); მსხვილი კორპორაციების შიგნით სპეციფიკური ბაზრები უნდა არსებობდეს (რ. კოუზი); პროდუქტის „სიცოცხლის ციკლის“ მოდელი 1966 წელს გამოაქვეყნა ამერიკელმა ეკონომისტმა რაიმონდ ვერნონმა (Raymond Vernon, 1913–1999). იგი შეეცადა აეხსნა მზა ნაწარმის მსოფლიო ვაჭრობა მისი „სიცოცხლის ციკლის“ (ბაზარზე პროდუქტის სიცოცხლისუნარიანობა) სტადიების (დანერგვა, ზრდა, სიმწიფე და დაცემა) საფუძველზე. ამ მოდელში, FDI-ს განხორციელების საფუძველია ქვეყნებს შორის საქონელთა გაცვლის მოთხოვნა.

<sup>19</sup> Матраева, Л. В. (2012). Анализ эволюции концепций прямых иностранных инвестиций в экономической науке (критический анализ), Ж. ВОПРОСЫ НОВОЙ ЭКОНОМИКИ. № 3 (23).

<sup>20</sup> vsei.ru/downloads/vne/n03-12.pdf 21.04.2018.

<sup>21</sup> Transnational Corporations.(1999). United Nations. United Nations Conference on Trade and Development Division on Investment, Technology and Enterprise Development . Vol. 8. №2 ; Hymer, S. H. (1960): „The International Operations of National Firms: A Study of Direct Foreign Investment“. Cambridge, Mass.; Coase, R.H. (1937). The Nature of the Firm R. H. Coase Economica, New Series, Vol. 4, No. 16, pp. 386-405; Vernon, R. (1966). International Investment and International Trade in the Product Cycle. Quarterly Journal of Economics, 2, 190-207 .

კანადელი ეკონომისტის ს. ჰაიმერის (Stephen Herbert Hymer, 1939–1974) იდეები შემდგომში განავითარა ამერიკელმა ეკონომისტმა ჩ. კინდლბერგერმა (Charles Kindleberger, 1910–2003) და გ. დ. ჯონსონმა (Johnson, G.D., 1916-2003). მათი მოდელით<sup>22</sup>, უცხოელი ინვესტორი ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაშია ადგილობრივთან შედარებით - ნაკლებად იცნობს ადგილობრივ ბაზარს, თამაშის წესებს, საჭიროებს ტრანსპორტირების მეტ დანახარჯებს, დგას მეტი რისკის წინაშე და ა.შ. აქედან გამომდინარე, მას სჭირდება დამატებითი მონოპოლიური უპირატესობები ადგილობრივ კონკურენტებთან შედარებით, რომელიც უზრუნველყოფს მის ზემოგებას. აქედან გამომდინარე, უცხოელი ინვესტორისთვის მონოპოლიური უპირატესობის მოპოვება შესაძლებელია: ადგილობრივ ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენციის არსებობის გამო; მასშტაბებში უპირატესობის გამო; მისთვის შეღავათიანი საკანონმდებლო ბაზის არსებობით და სხვ. ჩ. კინდლბერგერმა, უცხოელი ინვესტირების მონოპოლიური პირობების სტიმულირებისათვის, ადგილობრივ ბაზრებზე სრულყოფილი კონკურენციისაგან გადახრა დაასახელა; ნობელის პრემიის ღაურეატის (1977), შვედი ეკონომისტის ბერთილ ოლინის (B. Ohlin , 1899-1979) აზრით, ზემოგება პრემიაა საინვესტიციო რისკისთვის<sup>23</sup>, რომელიც ე. ჩემბერლინის (Edward Hastings Chamberlin, 1899–1967) თეორიის მიხედვით, მონოპოლისტური კონკურენციის გამო წარმოიქმნება<sup>24</sup>.

ერების კონკურენტული უპირატესობის თეორია დაამუშავა ამერიკელმა ეკონომისტმა მაიკლ პორტერმა (Michael Eugene Porter, 1947 - ) ნაშრომში „ერების კონკურენტული უპირატესობანი“ (1990)<sup>25</sup>. მან ათი წამყვანი სამრეწველო ქვეყნის მაგალითზე გამოიკვლია ექსპორტში ძირითადი წილის მქონე ასზე მეტი დარგის კონკურენტუნარიანობა და შეეცადა ეპასუხა კითხვებზე: რატომ იყვნენ რიგი კორპორაციები უცხოურ ბაზრებზე წარმატებულნი, რატომ იზიდავდა ზოგიერთი ქვეყანა გაცილებით მეტ უცხოურ ინვესტიციებს, რატომ ამაღლებდა ტეკ-ის ინვესტიციები ზოგიერთ ქვეყანაში და სექტორში ადგილობრივი კომპანიების ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ ეფექტიანობას?

<sup>22</sup> Kindleberger, C.: (1962). Foreign Trade and the National Economy. Yale; (1967); Europe's Postwar Growth. The Role of Labor Supply. Cambridge, Massachusetts; (1996) World Economic Primacy: 1500 – 1990. Oxford University Press.

<sup>23</sup> Ohlin, B.(1933) . Interregional and International Trade, Cambridge.

<sup>24</sup> Chamberlin, E. (1933).The Theory of Monopolistic Competition:: A Re-orientation of the Theory of Value, Harvard University Press.

<sup>25</sup> Porter, M.E. (1990, 1998). "The Competitive Advantage of Nations", Free Press, New York.

სიტუაციის ანალიზის შედეგად პორტერმა გამოყო ერის კონკურენტული უპირატესობების შემდეგი ფაქტორები: 1) ფირმების კორპორაციული სტრატეგია და მართვის კულტურა ...; 2) ფაქტორული პირობები; 3) მოთხოვნის პირობები, სტრუქტურა (შიგა, ზრდის დონე, მომხმარებელთა ყიდვითუნარიანობა, საერთაშორისო მობილურობა ...); 4) მიმღებ ქვეყანაში ტეკ-ს შესასვლელად მხარდაჭერი დარგების არსებობა.

ეკლექტიკური პარადიგმის მოდელი შემოგვთავაზა ბრიტანელმა ეკონომისტმა ჯ. დანინგმა (John Harry Dunning, 1927–2009) 1993 წელს<sup>26</sup>, რომელიც ტრანსნეოვნიული თეორიების სხვადასხვა ელემენტებს შეიცავს<sup>27</sup>. ამ მოდელში გამოიყოფა ფაქტორთა სამი ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ტრანსნეოვნიულობის დონეს და უცხოური აქტივების მოცულობას: 1) უცხოელი ინვესტორების (ტეკ) სპეციფიკური უპირატესობები ადგილობრივ კომპანიებთან შედარებით; 2) ტეკ-ს მიმღები ქვეყნის მიერ შეთავაზებული ხელსაყრელი ადგილობრივი პირობები, რომელიც შესამჩნევად გამოამჟღავნებს ამ ქვეყნების ლოკალურ ბაზრებზე მათ კონკურენტულ უპირატესობებს; 3) ინტერნეოვნიულობის შესაძლო ხარისხი ანუ თავისი კონკურენტების კონტროლი, თავის კორპორაციაში სიახლეების შენარჩუნება.

1994 წელს ჯ. დანინგმა ნიდერლანდელ მეცნიერ რ. ნარულთან (Rajneesh Narula, 1963 -) ერთად შემოგვთავაზა ინვესტიციური განვითარების თეორია<sup>28</sup>, რომლის მიხედვით, ქვეყნის განვითარება გაივლის ხუთ ფაზას:

1) ქვეყნის საინვესტიციო განვითარება იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში მხოლოდ დაბალტექნოლოგიური წარმოებაა და სახელმწიფო სამამულო ბაზარს უცხოური კონკურენციისაგან იცავს;

2) მეორე ფაზაზე ნელი ტემპით იზრდება უცხოური ინვესტიციები, ადგილობრივი ბაზარი და კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური პოლიტიკა ნაწილობრივ ლიბერალიზდება;

<sup>26</sup> Dunning, J.H.(1993). Trade, location of economic activity and the multinational enterprise: a search for an eclectic approach. Journal The theory of transnational corporations. Volume 1, pp.183-218

<sup>27</sup> Dunning, J.H.(2000). The eclectic paradigm as an envelope for economic and business theories of MNE Activity. International Business Review 9 (2000) 163–190 . [http://www.exeter.ac.uk/media/universityofexeter/internationalexeter/documents/iss/ Dunning\\_IBR\\_2000.pdf](http://www.exeter.ac.uk/media/universityofexeter/internationalexeter/documents/iss/ Dunning_IBR_2000.pdf) 21.04.2018.

<sup>28</sup> Dunning, J.H. and Narula, R. (1994). Transpacific Direct Investment and the Investment Development Path: The Record Assessed, Essays in International Business, May; Dunning, J.H. and Narula, R. (1994) The R&D Activities of Foreign Firms in the US, International Studies of Management and Organization, forthcoming.

3) მესამე ფაზაზე იწყება ინვესტიციების გადინება და ვლინდება ადგილობრივი ფირმების უპირატესობანი. უცხოური ინვესტიციებისადმი სახელმწიფო პოლიტიკა ლიბერალური, ეკონომიკა კი ექსპორტზე ორიენტირებული ხდება;

4) მეოთხე ფაზაზე FDI-ს გადინება აჭარბებს შედინებას, ქვეყანა ხდება ლიდერი ზოგიერთ მაღალტექნოლოგიურ დარგებში;

5) მესამე ფაზაზე FDI-ს გადინება და შედინება იზრდება, განმტკიცდება მსოფლიო ლიდერობა ინვესტიციებისადმი ლიბერალური პოლიტიკის და ექსპორტის წახალისების პირობებში.

1980-იან წლებში ამერიკელმა ეკონომისტებმა ნობელიანტმა (2008) პოლ კრუგმანმა (Paul Robin Krugman, 1953 - )<sup>29</sup> და კ. ლანკასტერმა (Kelvin John Lancaster, 1924-1999) შეიმუშავეს *მასშტაბის ეფექტზე დამყარებული საერთაშორისო ვაჭრობის ალტერნატიული მოდელი*. იგი ითვალისწინებს წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფისას გრძელვადიანი საშუალო დანახარჯების შემცირებას გამოშვების ზრდის კვალდაკვალ, ანუ მასობრივი წარმოების შედეგად - ეკონომიას<sup>30</sup>. ასეთი მიდგომით, ბევრი ქვეყანა პროპორციულად უზრუნველყოფილია წარმოების ძირითადი ფაქტორებით, ამიტომ მათთვის ხელსაყრელია ერთმანეთთან ვაჭრობა იმ დარგების სპეციალიზების პირობებში, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მასობრივი წარმოების ეფექტის არსებობა. ასეთი სპეციალიზებით შესაძლებელია გამოშვების გაფართოება, ფასების-დანახარჯების შემცირება; მასშტაბის ეფექტის რეალიზებისთვის აუცილებელია მასშტაბური მსოფლიო ბაზარი.

ამრიგად, უცხოური ინვესტიციებისადმი სხვადასხვა მიდგომების გაანალიზების შედეგად, შეიძლება დაეასკენათ, რომ თანამედროვე პერიოდში არ არსებობს არც ტრადიციული, არც თანამედროვე თეორია, რომელიც ამომწურავად დაასაბუთებს FDI-ს ნაკადების ზრდის განმაპირობებელ მიზეზებს და აქედან გამომდინარე, უმჯობესია გამოვიყენოთ სხვადასხვა კონცეფციების კრებსითი-სინთეზური მოდელი.

FDI-ს გაანგარიშების მეთოდოლოგიური საკითხები. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე, გლობალური ფინანსური ბაზრების

<sup>29</sup> Krugman, P. R.: (1986) Strategic Trade Policy and the New International Economics. The MIT Press, Cambridge, Mass. London; (1989). Trade Policy and Market Structure. MIT Press, Cambridge, MA, London.

<sup>30</sup> <https://textbooks.studio/mirovaya-ekonomika-uchebnik/teoriya-effekta-masshtaba-25758.html>

ტენდენციებში სწორად ჩაწვდომა შეუძლებელია მეთოდოლოგიურად დასაბუთებული სტატისტიკური ინფორმაციის გარეშე. რამდენადაც ეკონომიკა სულ უფრო გლობალური ხდება, სტატისტიკური მეთოდიკა ადაპტირებული უნდა იყოს ახალ რეალობებთან, ისე, რომ შეინარჩუნოს სტატისტიკის ანალიტიკური ხარისხი. ცხადია, ვგულისხმობთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების არსებობასაც. ეს მიდგომა ეხება საქართველოსაც, რომლის ეკონომიკა ღია ტიპისაა და, რომელიც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული უცხოურ ინვესტიციებზე.

როგორც ცნობილია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც 1997 წლიდან საქართველოში გაიანგარიშება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის<sup>31</sup> „საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო“ (ვაშინგტონი, 1993, მე-5 გამოცემა), 2009 წლიდან კი „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ (სსფ, ვაშინგტონი, მე-6 გამოცემა, 2008) მიხედვით. გარდა ამისა, FDI-ის ზუსტი გაანგარიშებისთვის გამოიყენება „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული გაანგარიშება (ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, ECD, პარიზი, 2008, მე-4 გამოცემა), ასევე, სსფ-ის მიერ გამოცემული „კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო“ (დეკემბერი, 2008). განსაზღვრულია, რომ FDI ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული საწარმოს არანაკლებ 10%-იანი აქციების პაკეტის, წილის ფლობას ნიშნავს. FDI გულისხმობს არა მარტო სასტარტო კაპიტალის დაბანდებას, არამედ ასევე შემდგომ ოპერაციებს ინვესტორსა (ფიზიკურ-

<sup>31</sup> 1) „საქონლით საერთაშორისო ვაჭრობის სტატისტიკა“. გაერო. ნიუ იორკი, აშშ, 2004წ. (International Merchandise Trade Statistics. United Nations, New York, 2004). [geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/International%20Merchandise%20Trade%20Statistics.pdf)); 2) საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაშინგტონი, აშშ, 1993წ., მეხუთე გამოცემა) - [http://geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/macro/BPM5.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/macro/BPM5.pdf); 3) „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელო“. სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008წ., მეექვსე გამოცემა. - [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/files/georgian/methodology/macro/BPM6.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/files/georgian/methodology/macro/BPM6.pdf); 4) „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება“. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, პარიზი, საფრანგეთი 2008წ., მე-4 გამოცემა [geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/Benchmark%20Definitions%20od%20FDI,%204th%20edition.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/Benchmark%20Definitions%20od%20FDI,%204th%20edition.pdf); 5) „კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო“. სსფ, ვაშინგტონი, აშშ, 2008წ. - [geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/The%20Coordinated%20Direct%20Investment%20Survey%20Guide.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/The%20Coordinated%20Direct%20Investment%20Survey%20Guide.pdf) 21.04.2018.

რი და იურიდიული-მათ შორის - სახელმწიფო) და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის<sup>32</sup>.

FDI-ის ძირითადი წყაროებია:

- საქსტატის კვარტალური და წლიური პერიოდულობის სტატისტიკური გამოკვლევები საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ;

- ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ასევე, აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ;

- საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაცია ფინანსურ სექტორში-კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული FDI-ის შესახებ და სხვ.

გამოსაკვლევი საწარმოები, ობიექტები შეირჩევა შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით<sup>33</sup>:

- საწარმოს ჰყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი;
- ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისგან მიღებული აქვს სესხი ან მათზე მიცემული აქვს სესხი;
- დეპოზიტები განთავსებული აქვს არარეზიდენტ-ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან აქციონერული კაპიტალის 10% და მეტს;
- არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას.

FDI-ის ძირითადი კომპონენტებია<sup>34</sup> : აქციონერული კაპიტალი, რეინვესტიცია და სხვ. კაპიტალი; საქართველოში 1997 წლიდან მონაცემები მუშავდება ინვესტორი ქვეყნების, 2007 წლიდან კი ეკონომიკის სექტორების მიხედვით; წინასწარი მონაცემები ქვეყნდება ყოველკვარტალურად საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღეს და ის ზუსტდება წლიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე მომდევნო წლის 15 აგვისტოს. დაზუსტებული მონაცემები ყოველთვის განსხვავებულია წინასწარისაგან. ამის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიზეზი ისაა, რომ საწარმოები წელიწადში ერთხელ წარადგენენ მოგება-ზარალის დაზუსტებულ მაჩვენებლებს. წინასწარ და დაზუსტებულ მონაცემებს შორის განსხვავება

<sup>32</sup> [geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/FDI%20short%20methodology.pdf](http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/FDI%20short%20methodology.pdf) 21.04.2018.  
<sup>33</sup> [http://www.geostat.ge/cms/site\\_images/\\_files/georgian/methodology/macro/FDI%20mokle%20meTodologia\\_2017.pdf](http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/methodology/macro/FDI%20mokle%20meTodologia_2017.pdf) 20.05.2018.

კვარტალურ დინამიკაში ზოგიერთ შემთხვევაში 20%-ზე მეტია, რადგან FDI მსოფლიო ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებული ინვესტიცია არ არის. FDI-ის შემცირების მიზეზები შეიძლება იყოს: არარეზიდენტის მიერ წილის დათმობა რეზიდენტისათვის; არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორტფელის ინვესტორად; რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულებების შემცირება.

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს სტატისტიკურის სამსახურის ზოგიერთი მეთოდოლოგიური განმარტება საგარეო სექტორის მონაცემების შესახებ. კერძოდ: საგადასახდელო ბალანსი; საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ); საგადასახდელო ბალანსისა და სსპ-ის მონაცემთა გადასინჯვა. საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკის საანგარიშო ერთეულია აშშ დოლარი.

აღსანიშნავია, რომ მათ შესახებ სტატისტიკურ მონაცემთა ბაზის:

- მეთოდოლოგია გამომდინარებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ (მე-6 გამოცემა) მოთხოვნებიდან<sup>35</sup>;

- ინფორმაციის წყაროა ქვეყანაში ცენტრალური (ეროვნული) ბანკის, მოქმედი კომერციული ბანკების, დაზღვევის კომპანიებისა და მიკროფინანსური ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის - სხვადასხვა პერიოდულობის შერჩევითი კვლევები, ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; სატვირთო-საბაჟო დეკლარაციების მონაცემთა ბაზა; ეკონომიკური პროფილის სამინისტროებიდან ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ და სხვ.<sup>36</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

1) ქვეყნის საგადასახდელო ბალანსი არის დროის გარკვეულ პერიოდში (საქართველოში ყოველკვარტალურად) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს - რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის - ეკონომიკური ოპერაციების

<sup>35</sup> „Balance of Payments and International Investment Position Manual Sixth Edition (BPM6)“. International Monetary Fund. Washington, 2009. <https://www.imf.org/external/pubs/ft/bop/2007/pdf/bpm6.pdf> 25.05.2018.

<sup>36</sup> <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304> ; <http://geostat.ge> 25.05.2018.

ამსახველი სტატისტიკური ანგარიშის მაჩვენებელი. იგი შედგება მიმდინარე ანგარიშის და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშისაგან:

- მიმდინარე ანგარიშში ასახულია მიმდინარე ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, კერძოდ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, შრომითი და საინვესტიციო შემოსავლები, მიღებული და გაცემული ტრანსფერები;
  - ფინანსური ანგარიშში ასახავს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს (ისინი იყოფიან პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებად და ფინანსურ წარმოებულებად, სხვა ინვესტიციებად და რეზერვის აქტივებად);
- 2) თითოეული ქვეენისათვის მნიშვნელოვანია *საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის (სსპ)* [International investment position, IIP] მაჩვენებელი, რომელიც:
- ასახავს საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მაჩვენებლებს, მათ შორის სხვაობას (*წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია*);
  - ეკონომიკის სექტორების (ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო და სხვ. სექტორები) სხვადასხვა ვალდებულებებია.

ოფიციალური ინფორმაციით, სსპ-ს მუხლები, ისე, როგორც საგადასახდელო ბალანსების მუხლები, მოიცავს:

- ა. პირდაპირ ინვესტიციებს; ბ. პორტფელურ ინვესტიციებს; გ. ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებსა (სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები ვაჭრობის კრედიტები და ავნსები...) და სარეზერვო აქტივებს.
- სსპ პერიოდის ბოლოს იაგარიშება: როგორც ნაშთი პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერატიული ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ამასთან, ეკონომიკის ფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს შორის სხვაობა წმინდა წმინდა *საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია*ა. იგი შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული (+) ან წმინდა დებეტური (-);



3) საგადასახდელო ბალანსისა და საინვესტიციო პოზიციის მონაცემთა გადამსინჯვათავდაპირველად (2007 წლამდე) ეს სტატისტიკის სამსახურის პროგნოზი იყო. საქართველოში პირველი საგადასახდელო ბალანსი 1995 წელს შემუშავდა. ამჟამად, ეროვნული ბანკის საიტზე იგი ხელმისაწვდომია. საქართველოს ეროვნული ბანკი დაწესებული 2014 წლის პირველი კვარტალიდან, საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკას აწარმოებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ 2009 წელს გამოშვებული „საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ (BPM6) მე-6 გამოცემის შესაბამისად.

ამრიგად, ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (IIP) გაიანგარიშება საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლების ადასტურებენ, რომ გრძელვადიან პერიოდში, როგორც წესი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წლის მეორე ნახევარში აჭარბებს წლის პირველ ნახევარში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს.

## 1.2. საკანონმდებლო ბაზა

საქართველოში ისე, როგორც სხვა ქვეყნებში სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევის ერთერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI). როგორც წესი, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაში, როგორც უკვე აღინიშნა, იგულისხმება ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის (მინიმუმ 10%) საკუთრებაში ფლობა და მისი მართვა.

ინვესტიციების შესახებ საქართველოში მიღებულია შემდეგი უმნიშვნელოვანესი კანონები:

- საქართველოს რესპუბლიკის კანონი „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ (1991);
- საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ (1996);

- საქართველოს კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ (2002);
- საქართველოს კანონი ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ (2006);
- საქართველოს კანონი სააქციო საზოგადოების საპარტნიორო ფონდის შესახებ და სხვ.

საქართველოში დამოუკიდებელობის აღდგენის საწყის ეტაპზევე ქვეყანაში დაიწყო ინტენსიური სამუშაოები უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯებიც წამახალისებელი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით, 1991 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „*უცხოური ინვესტიციების შესახებ*“ [(25.07.1991)<sup>37</sup>].

საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ძალადაკარგულად ჩაითვალა „*უცხოური ინვესტიციების შესახებ*“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და მინისტრთა კაბინეტს დაევალა ერთი თვის ვადაში *უცხოური ინვესტიციების სააგენტოს ჩამოყალიბება*<sup>38</sup>.

საქართველოში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, მათი დაცვის გარანტიები განისაზღვრა 1996 წლის 12/11 მიღებული კანონით: *საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ*<sup>39</sup>. ამ კანონის მიხედვით:

- ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში (მუხლი 1. პ.1);
- საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი-ინვესტორია ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში. ასევე, უცხოელ ინვესტორად ითვლება: უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე; მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც

<sup>37</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/37594> . 29.05.2018.

<sup>38</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/37594> 29.05.2018.

<sup>39</sup> [http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/sakartvelos\\_kanoni\\_investiciebis\\_saxelmcipo\\_mxardacheris\\_shesaxeb.pdf](http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/sakartvelos_kanoni_investiciebis_saxelmcipo_mxardacheris_shesaxeb.pdf) 29.05.2018.

არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე; საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ; იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ. (მუხლი 2. პ.1-2);

- საქართველოს ტერიტორიაზე ინვესტიცია შეიძლება განხორციელდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის ობიექტებში, რომლებშიც ინვესტირება აკრძალული არ არის (მუხლი 2. პ. 3).

კანონის მესამე მუხლის მიხედვით, საქართველოში უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი.

კანონით ინვესტიციის დაცვა გარანტირებულია-ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით (მუხლი 7-2); გადაწყვეტილება ინვესტიციის ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე კომპენსაციის პირობები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სასამართლოში, თუ მხარეთა შეთანხმებით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. (17.07.2009 1539) (მუხლი 4). ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, მოქმედებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი (მუხლი 6).

კანონის მე-9 მუხლით დადგენილია ინვესტირებისათვის აკრძალული სფეროები:

- ა-ბ) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებაში, გავრცელებაში და გამოცდის პოლიგონების მშენებლობაში;
- გ) უცხო ქვეყნებიდან ბირთვული და ტოქსიკური ნარჩენების ჩამარხვა-გაუვნებლობის მიზნით შემოტანაში;
- დ) ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;
- ე) ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში და სხვ.

ინვესტორს შეუძლია სამუშაოზე მიიღოს უცხოელი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. უცხოელს, გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებლების გადახდის შემდეგ, შეუძლია მის მიერ მიღებული შემოსავლების საზღვარგარეთ დაუყოვნებელი და შეუფერხებელი გატანა. (მუხლი 10. პ.1). ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არ არის დაწესებული საწარმოს ხელმძღვანელ

ორგანოებში სავალდებულოდ ასარჩევ ან დასანიშნ საქართველოს მოქალაქეთა აუცილებელი მინიმალური რიცხოვნობა.

ზემოაღნიშნული ნორმა ვეფიქრობთ დამატებით განხილვას საჭიროებს, რამდენადაც მიმდინარე გლობალურ კონკურენციაში ადგილობრივი პერსონალი ამ ეტაპზე ხშირად ნაკლებად კონკურენტუნარიანია უცხოელებთან შედარებით.

ბევრ შეკითხვას ბაღებს კანონის მოთხოვნა: მუშაკთა სოციალური დაზღვევის, სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი გადასახადებისა და შენატანების გადასახადის შესახებ კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ უცხოელ მუშაკებზე, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში. (მუხლი 10. 3.2).

საქმე ისაა, რომ უცხოელი ჯერ ერთი, იკავებს სამუშაო ადგილს და მეორე, არ იხდის გადასახადებსა და შენატანებს. ქვეყნისათვის ადგილობრივი მუშახელის დასაქმებაა უფრო სარგებელიანი, მითუმეტეს, რომ იგი დასაქმების შემთხვევაში, საშემოსავლო გადასახადს იხდის.

უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აიღეს უცხოური ინვესტიციის ლიცენზია, მისი გაცემის დღიდან 5 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდათ „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ 1995 წლის 30 ივნისის საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები. (მუხლი 13).

*საქართველოს კანონით საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ (19.06.2002)<sup>40</sup> განისაზღვრა:*

- სახელმწიფო საწარმო-საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების განხორციელების ორგანიზაციულ-სამართლებრივი პრინციპები და მათი განხორციელების კონკრეტული მექანიზმი. (მუხლი 1-1);
- საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისი საწარმო-საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ეფექტიანი ხარჯვის მექანიზმის შექმნა და მათი მართვის უზრუნველყოფა. (მუხლი 2-ა);
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შექმნა (მუხლი 4-1), რომელიც ანგარიშვალდებულია საქართველოს ეკონომი-

<sup>40</sup> <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2763422> 25.04.2018.

მიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე ყოველწლიური ანგარიშის წარდგენით (მუხლი 4-12-ვ);

- მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია (მუხლი 4):

ა. პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებების წარმოება საწარმო-საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ინვესტიციებისა და გრანტების მოზიდვის მიზნით;

ბ. იმ კრიტერიუმების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საწარმო-საინვესტიციო პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის უფლების მისაღებად;

გ. საწარმო-საინვესტიციო პროექტის წარმდგენი ორგანიზაციისათვის საექსპერტო და საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა და სხვ.

- სააგენტოს ხელმძღვანელობს დირექტორი და მეთვალყურეთა საბჭო (მუხლი 5-6).

- სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შედიან სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი (თავმჯდომარე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე. (5.07.2012).

საქართველოს კანონმდებლობაში უმნიშვნელოვანესია (30.06.2006) *კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“<sup>41</sup>*. მისი მიზანია ინვესტირების ხელშეწყობა სამართლებრივი ბაზის შექმნით. კანონი ვრცელდება ნებისმიერ განხორციელებულ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე საქართველოში. სახელმწიფოს სახელით ინვესტიციების მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტომ, რომლის საქმიანობას აკონტროლებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო. სააგენტო ფასიან საწყისებზე (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციისა) ემსახურება ინვესტორს საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული უფლებამოსილების განხორციელებაში და მომსახურების საფასურს განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა. საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მეშვეობით, რომელ-

<sup>41</sup> <http://szs.gov.ge/res/docs/2014051412012829213.pdf> 21.04.2018.

საც (მუხლი 3. პ.1-3), უფლება აქვს იყოს ინვესტორის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობებში შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. მომსახურების საფასური განისაზღვრება სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით. მისი გადახდისგან თავისუფლება განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების განხორციელება, რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. (მუხლი 9. პ.1). ასევე, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი ენიჭება მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებულ ინვესტიციას, რომელიც ფუნქციონალური და სტრატეგიული თვალსაზრისით, დადებით ზეგავლენას ახდენს ადგილობრივი ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. (მუხლი 9. პ.2).

კანონის მიხედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭება ხდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით. ამ სტატუსის მისანიჭებლად ინვესტორი საქართველოს მთავრობას წარუდგენს საინვესტიციო განაცხადს, რომელსაც უნდა დაერთოს ინვესტიციის განხორციელების დეტალური გეგმა. განაცხადის წარდგენიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ინვესტიციისთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ. (მუხლი 10. პ.1-2).

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსის მინიჭებისას საქართველოს მთავრობასა და ინვესტორს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება ინვესტიციის პირობები. ინვესტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ეკისრება ინვესტიციების განხორციელების საგარანტიო თანხის (ინვესტიციების მთლიანი მოცულობის 2%-ის) დეპონირება, ან შესაბამისი საბანკო გარანტიის წარდგენა. (მუხლი 10. პ. 4-5).

განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციის სტატუსი მოქმედებს საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული ვადით, თუმცა, ეს სტატუსი უქმდება, თუ ინვესტორმა ვერ შეასრულა ამ კანონის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების პირობები. (მუხლი 12. პ. 1, 2).

საქართველოს კანონის, სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდის შესახებ,“ (08.04.2011)<sup>42</sup> მიხედვით:

- (მუხლი 1.1.) სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი (02.03.2012.). (შემდგომ – ფონდი) არის „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული სააქციო საზოგადოება;
- ს. ს. „საპარტნიორო ფონდი“<sup>43</sup> სახელმწიფო საინვესტიციო ფონდის სახით, დაარსდა 2011 წელს. იგი შეიქმნა სატრანსპორტო, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული ზოგიერთი მსხვილი სახელმწიფო საწარმოების კონსოლიდაციის ბაზაზე. მისი მიზანია საქართველოში ინვესტიციების წახალისება საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით (კაპიტალში თანაინვესტირება, სუბორდინირებული სესხი და ა.შ.). ფონდი მართავს აქტივებს და მონაწილეობს სხვადასხვა საინვესტიციო პროექტებში;
- ფონდის აქტივების პორტფელში შედის: „საქართველოს რკინიგზა“ (100% წილი), „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (100% წილი), „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (100% წილი), „ელექტრო-ენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (100% წილი), ს.ს. „თელასი“ (24.5% წილი).
- ფონდის მიზნებია (მუხლი 1.4.): ინვესტიციების მოზიდვა; შეფერხებული პროექტების დასრულებისთვის ხელშეწყობა და ახალი პროექტების შემუშავება ან/და დაფინანსება; განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილის/აქციების განკარგვა და სხვ.

„ფონდმა“ საინვესტიციო პროექტი უნდა განიხილოს იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება სოფლის მეურნეობის სფეროში იქნება მინიმუმ 5 მლნ ლარი, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სფეროში მინიმუმ 30 მლნ ლარი, თუკი ფონდის სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს. (02.03.2012). (მუხლი 2.2.). ამასთან, პროექტის მონაწილემ უნდა წარადგინოს საბანკო გარანტია საინვესტიციო თანხის მინიმუმ 10%-ის ოდენობით. (23.12.2011); ფონდი არ განიხილავს ისეთ პროექტებს,

<sup>42</sup> [http://www.fund.ge/geo/who\\_we\\_are/4ss](http://www.fund.ge/geo/who_we_are/4ss) 20.04.2018.

რომლებიც უშუალოდ შეეხება მომსახურების სფეროს, თუ ფონდის სამეთვალყურეო საბჭო სხვაგვარად არ გადაწყვეტს (მუხლი 2; 3-4).

„ფონდის“ დაფინანსების წყარო შეიძლება (02.03.2012.) იყოს (მუხლი 3): საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდული გრანტები, სესხები (რომელთა დაბრუნებისთვისაც ფონდი თავადაა პასუხისმგებელი); განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი; სახელმწიფოს მიერ ფონდისათვის გადაცემული კომპანიების ან/და უშუალოდ ფონდის მიერ დაფუძნებული კომპანიების დივიდენდები; წილებისა და ფასიანი ქაღალდების გაყიდვით მიღებული შემოსავალი; ფონდის დამფუძნებლის შენატანები ფონდის კაპიტალში და სხვ. კანონის მესამე მუხლის (პ.3) მიხედვით, ფონდის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლა მთელი მისი ქონებით და სახელმწიფომ, როგორც ფონდის აქციონერმა პასუხი არ უნდა აგოს ფონდის ვალდებულებებისათვის. (02.03.2012. 5746).

„ფონდის“ მიერ პროექტის დაფინანსება ხორციელდება კერძო სექტორის თანადაფინანსებით. პროექტის განხორციელების შემდეგ ფონდი ახდენს თავისი წილის არანაკლებ 25%-ის განკარგვას. (23.12.2011) (მუხლი 4.)

„ფონდის“ მმართველობითი ორგანოებია (მუხლი 5): სამეთვალყურეო საბჭო (ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი) და აღმასრულებელი ორგანო; ფონდის საკონსულტაციო ორგანოა საინვესტიციო საბჭო.

„ფონდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე საქართველოს მთავრობას წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს წლის განმავლობაში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ. ფონდი ვალდებულია ყოველ წელს გამოაქვეყნოს წლიური აუდიტური ფინანსური ანგარიშგების ფორმა.) [მუხლი 9., (02.03.2012.).

ქვეყნები ცდილობენ უკეთესი პირობების შექმნას უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად და მოგების რეინვესტირების ხელშესაწყობად. ამ მიზნით საქართველომ ესტონური გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიმდინარე წლიდან დაადგინა და აამოქმედა საგადასახადო კოდექსში წესი, რომლის მიხედვით, ინვესტორებმეწარმეები თავისუფლდებიან მოგების გადასახადისაგან თუ ისინი არ გაანაწილებენ შემოსავლებს და შესაბამისად მათი კომპანიებიდან მისაღები შემოსავლის (მოგების, დივიდენდის). პოსტსაბჭოური წვეყნები ზოგჯერ (მაგ. რუსეთი) პირიქით



აწესებს ბარიერებს ქვეყნიდან ინვესტორთა ფულად გზავნილებზე, რაც ხელს არ უწყობს ახალი ინვესტიციების მოზიდვას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების, მათ შორის საქართველოში მოქმედი საინვესტიციო კანონმდებლობა სისტემატურად საჭიროებს განახლებას მიმდინარე ახალი საერთაშორისო რეალიების გათვალისწინებით<sup>44</sup>. ამ მიზნით, მიზანშეწონილია საქართველოში კიდევ უფრო დაიხვეწოს კანონმდებლობა ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებისათვის, რომელიც კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მუხედავად, ინვესტორისთვის უზრუნველყოფს მოქმედი ლიბერალური ნორმებისა და შეღავათების შენარჩუნებას გარკვეული ვადით.

*დასკვნა:*

- 1) საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წასახალისებლად, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე ზრუნვა, გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, შემდგომში კი ამ მიმართულებით ინტენსიური სამუშაოები წარიმართა, ამ კანონმდებლობაზე მუშაობა მიმდინარეობს ამჟამადაც.
- 2) მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საქართველოში უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი. თუმცა, აქ სიფრხილეც გემართებს, რადგან თუ სამამულო ინვესტორის საკუთრება დაუცველია, მაშინ ეს შეიძლება შეეხოს უცხოელ ინვესტორსაც;
- 3) უცხოელი ინვესტორისთვის პოზიტიურია, რომ მას შეუძლია სამუშაოზე მიიღოს უცხოელი მუშახელი ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ნორმა ვფიქრობთ დამატებით განხილვას საჭიროებს, რამდენადაც მიმდინარე გლობალურ კონკურენციაში ადგილობრივი პერსონალი ამ ეტაპზე სწორად ნაკლებად კონკურენტუნარიანია უცხოელებთან შედარებით;
- 4) დამატებით განხილვებს საჭიროებს ასევე, მოქმედი კანონის მოთხოვნა: მუშახელის სოციალური დაზღვევის, სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი გადასახადებისა და შენატანების გადასახადის შესახებ კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ უცხოელ მუშახელზე, რომლებიც

<sup>44</sup> საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია: საქართველო - 2020 - [http://www.economy.ge/uploads/news/giorgi\\_kvirkashvili/Strategy2020.pdf](http://www.economy.ge/uploads/news/giorgi_kvirkashvili/Strategy2020.pdf) 21.04.2018.

მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში დასაქმებული უცხოელი არ იხდის „სოციალურ გადასახადებს“ და შენატანებს, მაგრამ ქვეყნისათვის ადგილობრივი მუშახელის დასაქმება კი გაზრდიდა საბიუჯეტო შემოსავლებს;

- 5) გაუმართლებელია, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირს - სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოს-სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობდეს უმაღლესი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირი პრემიერ - მინისტრი, მითუმეტეს, რომ კანონმდებლობა კრძალავს საჯარო მოხელეების მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში;
- 6) კერძო სამართლის იურიდიულ პირს - სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი უფლებამოსილებაში არ უნდა შედიოდეს საჯარო ფუნქციების განხორციელება: განკარგოს განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილი/აქციები; მიიღოს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სახელმწიფო გარანტიით მოზიდული გრანტები;
- 7) „ფონდს“, როგორც ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებას, არ უნდა შეეძლოს მაგ. „რკინიგზის“, „თელასის“ და სხვ. წილების მართვა, მათგან დივიდენდების მიღება , რაც კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება;
- 8) წინააღმდეგობრივია ასევე, კანონის მესამე მუხლის (პ.3) მოთხოვნა, რომ ფონდის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლა მთელი მისი ქონებით და სახელმწიფომ, როგორც ფონდის აქციონერმა პასუხი არ უნდა აგოს ფონდის ვალდებულებებისათვის. (02.03.2012. 5746), ეს მაშინ, როდესაც სწორედ სახელმწიფო, როგორც ფონდის დამფუძნებელია არაპირდაპირი გზით პასუხისმგებელი თავისი წილით კრედიტორების წინაშე და სხვ.

## თავი 2. გლობალური ეკონომიკური ტენდენციები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

### 2.1. გლობალური ეკონომიკური ინდიკატორები

გლობალური ეკონომიკის მასშტაბები განუხრელად ფართოვდება, თუმცა ეს განვითარება პრობლემების გარეშე როდია. (11-14). მსოფლიოში მშპ-ს ჯამური მაჩვენებელი მაქსიმალური იყო: 2014 წელს (\$78. 377 ტრლნ; 2015 წელს - \$73.89 ტრლნ; 1990 წელს - \$22.517 ტრლნ). ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკა 2014 წელს, 1990 წელთან შედარებით, 3.48 ჯერ გაიზარდა. (ცხრილი 1; გრაფიკი: 1-5).

ცხრილი 1. მსოფლიო ეკონომიკის ინდიკატორები, 1990-2016 წწ.


წელი	ჯამური მშპ (ტრლნ \$)	ჯამური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა (%)	მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (\$)	ინფლაცია, სამომხმარებლო ფასები (წლიური %)	უმუშევრობის დონე (%)
1990	22.5	3.0	4 262	8.5	-
1991	23.9	1.4	4 442	9.3	5.8
1992	25.3	1.8	4647	7.8	5.7
1993	25.8	1.7	4656	8.0	5.7
1994	27.7	3.0	4 927	10.3	5.9
1995	30.7	3.0	5 386	9.3	5.9
1996	31.4	3.3	5425	7.0	6.0
1997	31.3	3.8	5 335	5.6	6.1
1998	31.2	2.4	5 240	5.2	6.3
1999	32.4	3.3	5 362	3.3	6.4
2000	33.4	4.3	5460	3.6	6.3
2001	33.2	2.0	5 359	4.0	6.2
2002	34.5	2.2	5 496	3.1	6.2

2003	38.7	2.9	6 096	3.3	6.2
2004	43.6	4.5	6 780	3.6	6.1
2005	47.2	3.8	7 247	4.2	5.9
2006	51.1	4.4	7 754	4.5	5.6
2007	57.6	4.3	8 628	5.1	5.3
2008	63.2	1.8	9 345	9.0	5.5
2009	59.9	-1.7	8 748	2.9	5.9
2010	65.7	4.4	9 482	3.5	5.8
2011	72.9	3.1	10 407	5.0	5.6
2012	74.4	2.5	10 410	3.8	5.6
2013	76.5	2.5	10 664	2.7	5.6
2014	78.4	2.7	10 795	2.5	5.4
2015	73.9	2.6	10 058	1.5	5.5
2016	75.9	2.5	10 191	1.7	5.5

შედგენილი: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 09.05.2018.


ზემოაღნიშნული მონაცემებიდან გამომდინარე, 1990-2016 წლებში: ჯამური მსოფლიო მშპ გაიზარდა 3.7-ჯერ (გრაფიკი 1), მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა მერყეობს საშუალოდ 3-2.5%-ს ფარგლებში (გრაფიკი 2), მშპ მოსახლეობის 1 სულზე გაიზარდა 2.4-ჯერ (გრაფიკი 3), საშუალო წლიური ინფლაცია მერყეობს 8.5%-დან - 1.7%-ის ფარგლებში (გრაფიკი 4); უმუშევრობის დონე - 5-6%-ს ფარგლებში.

გრაფიკი 1. მსოფლიო ჯამური მშპ (მიმდინარე \$ , 1990-2016 წწ. წწ.




შეღვ.: [worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?end=2015&start=1990&view=chart](http://worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?end=2015&start=1990&view=chart)  
08.05.2018.

გრაფიკი 2. მსოფლიო ჯამური მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა (%), 1990-2016 წწ.




განგარიშებული: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 08.05.2018.

გრაფიკი 3. მშპ მოსახლეობის ერთ სულზე მსოფლიოში, 1990-2016 (მიმდინარე \$)




შედგენილი: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 08.04.2018.

გრაფიკი 4. ინფლაცია, სამომხმარებლო ფასები (წლიური %), 1990-2016 წწ.



შედგენილი: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 08.05.2018.

გრაფიკი 5. უმუშევრობის დონე (%), 1991-2016 წწ.



შედგენილი: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 08.06.2018.

ზემოაღნიშნული მონაცემების შედარებით ანალიზიდან გამომდინარეებს დასკვნა:

- 1) მსოფლიო ჯამური მშპ 3-ჯერ და მეტად გაიზარდა; ამასთან, მისი მაქსიმალური დონე 2014 წელს დაფიქსირდა, მნიშვნელოვან ჩავარდნას კი აღვივებდა 2009 წელს;
- 2) მშპ-ს წლიური ზრდის ტემპი მერყეობდა საშუალოდ 3%-ის ფარგლებში, ზრდის მაქსიმალური მაჩვენებელი 4.5% იყო 2004 წ., მაქსიმალური დაცემის მაჩვენებელი - -1.7% კი 2009 წელს;
- 3) მთლიანობაში გაიზარდა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 10191 აშშ დოლარამდე (პიკი 10795 აშშ დოლარი, 2014 წ.);
- 4) საშუალო წლიური ინფლაცია მერყეობდა 8.5%-დან - 1.7%-ის ფარგლებში, მაქსიმალური მაჩვენებელი - -10.3% დაფიქსირდა 1994 წელს;
- 5) უმუშევრობის დონე 5-6 %-ს ფარგლებში მერყეობდა. ამასთან, ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე 6.4% 1999 წელს დაფიქსირდა (მსოფლიო ფინანსური კრიზისის გაგლეხით), ყველაზე დაბალი 5.3% 2007 წელს.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და გლობალიზაციაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებისა და გადინების ნაკადები. საკვლევ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა, როგორც შედინების, ასევე გადინების მასშტაბები, გაიზარდა ასევე მათი წილი მსოფლიო მშპ-ში. თუ თავდაპირველად მსოფლიო გადინების მოცულობა აღემატებოდა შედინების მოცულობას, შემდეგ პერიოდში პირიქით ხდება. საკვლევ ოცწლიან პერიოდში FDI-ს შედინებისა და გადინების ჯამურმა მაჩვენებლებმა შესამამისად შეადგინა: 32.6 ტრლნ \$ და 31.4 ტრლნ \$. აღსანიშნავია მაჩვენებელთა შემცირების პერიოდებიც. (ცხრილი 2.; გრაფიკი 6-8).

ცხრილი 2. მსოფლიო FDI-ს ნაკადები 1996-2016 წწ. (მიმდინარე \$)

	<i>FDI შედინება</i>	<i>FDI შედინების წილი (%) მშპ- სთან</i>	<i>FDI-ს გადინება</i>	<i>FDI გადინების წილი (%) მშპ- სთან</i>
1996	363,575,574,037	1.176	439,312,193,044	1.400
1997	461,268,353,809	1.485	525,481,108,371	1.666
1998	679,307,688,135	2.197	781,256,021,425	2.512
1999	961,898,356,357	2.983	1,207,397,798,736	3.731
2000	1,460,994,462,653	4.358	1,403,406,189,599	4.124
2001	796,273,520,544	2.397	739,350,343,127	2.161
2002	744,140,678,199	2.146	658,037,850,308	1.909
2003	710,756,201,397	1.817	724,807,646,139	1.844
2004	1,009,245,210,409	2.227	1,195,888,329,221	2.728
2005	1,543,217,032,512	3.261	1,397,704,323,574	2.924
2006	2,146,534,979,854	4.172	2,154,806,320,082	4.169
2007	3,099,068,890,256	5.270	3,194,845,681,927	5.461
2008	2,451,199,373,231	3.755	2,593,811,763,262	4.035
2009	1,364,802,250,275	2.165	1,281,389,000,633	2.074
2010	1,860,269,431,711	2.731	1,750,707,038,708	2.576



2011	2,282,762,479,645	3.016	2,130,793,625,519	2.840
2012	2,114,831,087,100	2.720	1,764,180,299,249	2.298
2013	2,127,860,653,669	2.561	1,928,958,735,772	2.375
2014	1,791,242,096,516	2.200	1,647,370,326,416	1.992
2015	2,344,045,881,677	3.040	1,985,589,597,173	2.516
2016	2,300,264,340,553	2.925	1,905,330,053,235	2.520
სულ	32,613,558,542,539		31,410,424,245,520	

შედგ.: [worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD) ;

[worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS](http://worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.WD.GD.ZS) ; [worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.CD.WD)


; [worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.WD.GD.ZS](http://worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.WD.GD.ZS) 24.04.2018.

ცხრილი 2-ს მაჩვენებლების ანალიზით ირკვევა, რომ წინა წელთან შედარებით:

- 2001-2003 წწ., 2009 წელს (ფინანსური კრიზისის გამო) და 2014 წელს FDI-ს შედინების მასშტაბები ყოველწლიურად მცირდება;
- 2001-2002 წწ., 2009 წელს (ფინანსური კრიზისის გამო), 2012, 2014 და 2016 წლებში FDI-ს გადინების მოცულობები ყოველწლიურად მცირდება;
- 2007 წელი პიკური იყო, როგორც FDI-ს შედინების (3.1 ტრლნ \$), ასევე FDI-ს გადინების (3.2 ტრლნ \$) თვალსაზრისით.

ზემოაღნიშნული მაჩვენებლები გრაფიკულად ასახულია გრაფიკზე 6 და 7.

გრაფიკი 6. მსოფლიო ჯამური FDI: შედინება და გადინება (მიმდინარე \$)




1. შედინება; 2. გადინება.

შედგენილი: [worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD) 25.04.2018.

გრაფიკი 6. აფიქსირებს ტენდენციას, როდესაც: 1996-1999 წწ. და 2007 წელს (პიკი) გადინებების მოცულობა აღარბებდა შედინებების მასშტაბებს, 2006 წელს მაჩვენებლები თითქმის თანაბარია, 2000-2016 წწ. კი საპირისპირო სურათი გვხვდება.

ცხრილი 2-დან და გრაფიკი 7-დან გამომდინარეობს, რომ: FDI შედინების წილი(%) მშპ-სთან 1.176%-დან (1996) - 2.925%-მდე (2016) მერყეობს, პიკური იყო 2007 წელი (5.270%). გადინების მიხედვით, შესაბამისად დაფიქსირდა შემდეგი მაჩვენებლები: 1.400%, 2.520% და 3.195%.

გრაფიკი 7. მსოფლიო FDI: შედინებისა და გადინების წილები (%) მშპ-სთან




1, შედინება; 2. გადინება.

შედგენილი: [worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD) 25.04.2018.

როგორია მსოფლიოში საშუალოდ მოსახლეობის 1 სულზე FDI-ს მაჩვენებელი? (გრაფიკი 8).

გრაფიკი 8. მსოფლიო FDI მოსახლეობის 1 სულზე (მიმდინარე \$)



1. შედინება; 2. გადინება. შედგენილი: [worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BX.KLT.DINV.CD.WD) ; [worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.CD.WD) ; [worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL](http://worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL)  
28.04.2018.

გრაფიკი 8-ს მიხედვით, მშპ მოსახლეობის 1 სულზე მსოფლიოს მასშტაბით ფიქსირდება: \$100-ზე ნაკლები 1996 წელს, მაქსიმალური მაჩვენებელი იყო \$400-ზე მეტი 2007 წელს, 2016 წელს კი იგი არ აღემატება \$300-ს.

**2.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: „ლიდერი ქვეყნები, რეგიონები“**

FDI-ს წმინდა შედინების მაჩვენებლებით, მსოფლიოში ლიდერთა ათეულში, ტრადიციულად ხვდებიან განვითარებული ქვეყნები, ბოლო პერიოდში მათ გვერდით უკვე გამოჩნდნენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკები. (ცხრილი 3).

*ცხრილი 3. მსოფლიოში ლიდერი ათეული FDI-ს წმინდა შედინების მიხედვით 1990, 1996, 2003, 2007, 2012 და 2016 წლებში (მიმდინარე \$)*

	ქვეყანა	1990
1	აშშ	48,490,000,000
2	გაერთ. სამეფო	33,503,670,308
3	ესპანეთი	13,983,611,812
4	საფრანგეთი	13,183,285,335
5	ნიდერლანდები	10,675,649,733
6	ავსტრალია	8,110,892,264
7	კანადა	7,580,601,938
8	იტალია	6,410,685,449
9	სინგაპური	5,574,738,855
10	შვეიცარია	5,544,796,310

	ქვეყანა	1996
1	აშშ	86,520,000,000
2	ჩინეთი	40,180,000,000
ყირგიზეთი	0	0	0	3	6
ლიტვა	0	22	284	100	283
ლატვა	-19	38	350	79	125
მოლდოვა	0	0	4	8	5
რუსეთი	6	67	314	341	155


ტაჯიკეთი	0	0	0	0	0
თურქმენეთი	0	0	0	0	0
უკრაინა	0	0	21	22	4
უზბეკეთი	0	0	0	0	0

შედგ.: [worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.CD.WD](http://worldbank.org/indicator/BM.KLT.DINV.CD.WD) ; [worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL](http://worldbank.org/indicator/SP.POP.TOTL)  
20.04.218.

ამრიგად, მოსახლეობის 1 სულზე FDI-ს წმინდა გადინებით პირველ პოზიციაზე იყო : ესტონეთი (1996); აზერბაიჯანი და ესტონეთი (2003, 2007, 2012); ლიტვა და აზერბაიჯანი (2016).


ზემოაღნიშნული ცხრილის 27 გრაფიკული მონაცემები იხილეთ ქვემოთ.

გრაფიკი 28. FDI-ს წმინდა გადინება მოსახლეობის 1 სულზე 1996 წ.(მიმდინარე \$)




შედგენილი: ცხრილი 24-ს მიხედვით; 1) სომხეთი; 2) აზერბაიჯანი; 3) ბელორუსი; 4) ესტონეთი; 5) საქართველო; 6) ყაზახეთი; 7) ყირგიზეთი; 8) ლიტვა; 9) ლატვა; 10) მოლდოვა; 11) რუსეთი; 12) ტაჯიკეთი; 13) თურქმენეთი; 14) უკრაინა; 15) უზბეკეთი.

გრაფიკი 30. FDI-ს წმინდა გადინება მოსახლეობის 1 სულზე 2003 წ.(მიმდინარე \$)



შედგენილი: ცხრილი 24-ს მიხედვით; 1) სომხეთი; 2) აზერბაიჯანი; 3) ბელორუსი; 4) ესტონეთი; 5) საქართველო; 6) ყაზახეთი; 7) ყირგიზეთი; 8) ლიტვა; 9) ლატვია; 10) მოლდოვა; 11) რუსეთი; 12) ტაჯიკეთი; 13) თურქმენეთი; 14) უკრაინა; 15) უზბეკეთი.


გრაფიკი 30. FDI-ს წმინდა გადინება მოსახლეობის 1 სულზე 2007 წ.(მიმდინარე \$)



შედგენილი: ცხრილი 24-ს მიხედვით; 1) სომხეთი; 2) აზერბაიჯანი; 3) ბელორუსი; 4) ესტონეთი; 5) საქართველო; 6) ყაზახეთი; 7) ყირგიზეთი; 8) ლიტვა; 9) ლატვია;


10) მოლდოვა; 11) რუსეთი; 12) ტაჯიკეთი; 13) თურქმენეთი; 14) უკრაინა; 15) უზბეკეთი.

გრაფიკი 31. FDI-ს წმინდა გადინება მოსახლეობის 1 სულზე 2012 წ.(მიმდინარე \$)



შეღებნილი: ცხრილი 24-ს მიხედვით; 1) სომხეთი; 2) აზერბაიჯანი; 3) ბელორუსი; 4) ესტონეთი; 5) საქართველო; 6) ყაზახეთი; 7) ყირგიზეთი; 8) ლიტვა; 9) ლატვა; 10) მოლდოვა; 11) რუსეთი; 12) ტაჯიკეთი; 13) თურქმენეთი; 14) უკრაინა; 15) უზბეკეთი.

გრაფიკი 32. FDI-ს წმინდა გადინება მოსახლეობის 1 სულზე 2016 წ.(მიმდინარე \$)



შედგენილი: ცხრილი 24-ს მიხედვით; 1) სომხეთი; 2) აზერბაიჯანი; 3) ბელორუსი; 4) ესტონეთი; 5) საქართველო; 6) ყაზახეთი; 7) ყირგიზეთი; 8) ლიტვა; 9) ლატვა; 10) მოლდოვა; 11) რუსეთი; 12) ტაჯიკეთი; 13) თურქმენეთი; 14) უკრაინა; 15) უზბეკეთი.

### 3.3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

საქართველოს გეოეკონომიკური მდებარეობა მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისთვის. ჩვენ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ უძველესი დროიდან მოემართებოდა ე.წ. “აბრეშუმის გზა” ინდოეთიდან და ჩინეთიდან - ევროპისაკენ. საქართველო თანამედროვე პირობებშიც საკვანძო დამაკავშირებელი ხიდია ევროპა-აზიისათვის. საქართველოს ტერიტორიაზე გავლით განხორციელდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი. საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის მნიშვნელობა დიდია. სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალების გარდა, საქართველოზე გადის მნიშვნელოვანი ნავთობსადენები და აირსადენები. კერძოდ:

- 1) *ბაქო-სუფსის ნავთობსადენი*. იგი საერთაშორისო ნავთობ-კონსორციუმის მიერ განხორციელებული პირველი ინვესტიციაა საქართველოში. ექსპლუატაციაში გაუშვა 1999 წელს კომპანიამ “British Petroleum”. მისი სიგრძე 837 კმ-ია (აქედან, საქართველოს მონაკვეთის - 375 კმ), საქართველოს ტერიტორიაზე პროექტის მენეჯმენტს, კონსორციუმის ყველაზე მსხვილი წილის მფლობელი, კომპანია BP ახორციელებს<sup>47</sup>.

<sup>47</sup> <http://www.gogc.ge/ge/saertasoriso-proeqtebi> 05.06.2018.

ნახ. 1. ბაქო-სუფსის მილსადენი.



[https://ka.wikipedia.org/wiki/ბაქო-სუფსის\\_ნავთობსადენი](https://ka.wikipedia.org/wiki/ბაქო-სუფსის_ნავთობსადენი) 30.05.2018.

2) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი<sup>48</sup>. იგი კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ნავთობის ტრანსპორტირების პირველი და უმოკლესი მარშრუტია. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენის სიგრძე 1768 კმ-ია, აქედან, 249 კმ საქართველოს ტერიტორიაზე. ნავთობსადენი ექსპლუატაციაში 2006 წელს შევიდა. მილსადენის მშენებლობა დაახლოებით 4 მლრდ აშშ დოლარი დაჯდა.

ნახ.2. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი



[https://ka.wikipedia.org/wiki/ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის\\_ნავთობსადენი](https://ka.wikipedia.org/wiki/ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის_ნავთობსადენი)

<sup>48</sup> <http://www.gogc.ge/ge/saertasoriso-proeqtebi> 05.06.2018.



პროექტის მმართველია BP. ამ პროექტის დაფინანსებაში საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია და EBRD-ი მონაწილეობდა.

- 3) ბაქო-თბილისი-ერზრუმი გაზსადენი. შაჰდენიზის გაზსადენი<sup>49</sup> (ასევე სამხრეთ კავკასიის გაზსადენი) — ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენია შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანის სექტორიდან საქართველოს გავლით თურქეთში. ექსპლოატაციაში შევიდა 2006-2007წწ. მისი სიგრძე აზერბაიჯანსა და საქართველოს მონაკვეთს შორის 691 კმ-ია, საქართველოს მონაკვეთზე - 249 კმ. იგი ერზრუმთან ადგილობრივი გაზომარაგების სისტემას უკავშირდება. ამ პროექტის ღირებულებამ ერთი მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მას ასევე მართავს . გრძელვადიან პერიოდში ევროპას ამ მარშრუტით მიეწდება ბუნებრივი აირი<sup>50</sup>.
- 4) ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის საინვესტიციო პროექტი. მისი მშენებლობა 2008 წელს დაიწყო. ეს პროექტი<sup>51</sup> აერთიანებს აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის სარკინიგზო ხაზებს. პროექტის განხორციელების შედეგად, თურქეთის გავლით, გაიხსნება სარკინიგზო დერეფანი კასპიის ზღვიდან ევროპისკენ, ასევე შესაძლებელი იქნება დერეფნის გახსნა, რომელიც რუსეთს თურქეთთან დააკავშირებს. საწყის ეტაპზე ამ რკინიგზით 10 მილიონი ტვირთის გადაზიდვაა გათვალისწინებული, რაც მომავალში სავარაუდოდ, 25 მილიონ ტონამდე გაიზრდება.

ზემოაღნიშნულმა საერთაშორისო პროექტების განხორციელებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინება. ამჯერად დამატებით განვიხილოთ საქართველოში FDI-ს ნაკადები ქვეყნების მიხედვით (1), ეკონომიკის სექტორებისა და რეგიონების მიხედვით (2) და ზოგიერთი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი (3).

დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობის საწყის ეტაპზე უცხოელი ინვესტორები ფრთხილობდნენ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებას და 1996-2003 წლებში FDI-ს წლიური მოცულობა 335 მლნ აშშ დოლარს არ აღემატებოდა; 2004-20012 წწ. FDI-ს მაქსიმალური მოცულობა 2007 წელს დაფიქსირდა; 2013

<sup>49</sup> [http://www.gogc.ge/ge/saertasoriso-proeqtebi\\_05.06.2018](http://www.gogc.ge/ge/saertasoriso-proeqtebi_05.06.2018).

<sup>50</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/ტრანს-ადრიატიკული\\_მილსადენი](https://ka.wikipedia.org/wiki/ტრანს-ადრიატიკული_მილსადენი) 25.04.2018.

<sup>51</sup> [http://www.railway.ge/?web=0&action=page&p\\_id=289&lang=geo](http://www.railway.ge/?web=0&action=page&p_id=289&lang=geo) 25.04.2018.


წლიდან FDI-ს მოცულობა გაიზარდა და 2017 წელს ისტორიული მაქსიმუმი 1.9 მლრდ. დოლარამდე დაფიქსირდა (ცხრილი 28, გრაფიკი 33).

*ცხრილი 28. FDI საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)*

წელი	სულ
1996	3.8
1997	242.6
1998	265.3
1999	82.2
2000	131.2
2001	109.8
2002	160.2
2003	334.6
2004	492.3
2005	452.8
2006	1,171.2
2007	1,752.6
2008	1,569.7
2009	664.2
2010	845.1
2011	1,130.3
2012	1,022.9
2013	1,020.6
2014	1,818.0
2015	1,652.5
2016	1,602.9
2017	1,861.9
1996-2016	16,524.9
1996-2017	18,386.8

შედგენილი: <http://geostat.ge> 30.05.2018.

გრაფიკი 33. FDI საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)



შედგენილი: <http://geostat.ge> 30.05.2018.

მთლიანობაში, 1996-2016წწ. FDI-ს ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 16,524.5 მლრდ. აშშ დოლარი, 1996-1997წწ. კი 18,386.4 მლრდ. აშშ დოლარი და თითოეული მათგანი ქვეყნის წლიური მშპ-ს მოცულობის მაქსიმალურ დონეს (\$16,507.8, 2014წ.) აღემატება, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და მისი ღრმა ინტეგრაციისათვის მსოფლიო ეკონომიკაში.

### 3.3.1. FDI ქვეყნების მიხედვით

საინტერესო სურათი ჩამოყალიბდა ცალკეული ქვეყნების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით. ამ თვალსაზრისით გამოვიკვლიეთ დსთ-ს, ევროკავშირის და ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან ურთიერთობა. (ცხრილი 29).

ცხრილი 29. დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებული FDI, აშშ დოლარი

ქვეყანა	1996-2016წწ.	1997-2017წწ.
აზერბაიჯანი	2,085,493,000	2,567,628,000
სომხეთი	73,471,000	79,834,000
ბელარუსი	2,715,000	2,722,000
ყაზახეთი	296,888,000	286,635,000
ყირგიზეთი	22,796,000	22,939,000
მოლდოვა	-1,408,000	-1,401,000
რუსეთი	644,191,000	677,072,000
თურქმენეთი	433,000	-22,000
უკრაინა	38,204,000	49,159,000
უზბეკეთი	6,660,000	7,681,000
სულ	3,169,443,000	3,692,247,000

<http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database> 30.05.2018.

ამრიგად, დსთ-ს ქვეყნებიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა: 1996-2016წწ. -3.2 მილიარდი აშშ დოლარი, 1996-2017 წწ. კი 3.7 მლდ აშშ დოლარი.

რა მოცულობის ინვესტიციები განხორციელდა საქართველოში ევროკავშირის ქვეყნებიდან? (ცხრილი 30).

ცხრილი 30. ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული FDI, აშშ დოლარი

ქვეყანა	1996-2016წწ.	1997-2017წწ.
ავსტრია	318,095,000	323,725,000
ბელგია	21,042,000	23,855,000
ბულგარეთი	28,289,000	35,929,000
ხორვატია		0
კვიპროსი	321,918,000	359,233,000
ჩეხეთი	561,771,000	695,592,000
დანია	223,303,000	213,956,000

ესტონეთი	36,834,000	61,933,000
ფინეთი	6,399,000	6,603,000
საფრანგეთი	139,137,000	160,821,000
გერმანია	437,785,000	424,422,000
საბერძნეთი	36,999,000	38,629,000
უნგრეთი	4,693,000	6,524,000
ირლანდია	18,032,000	19,331,000
იტალია	157,826,000	166,985,000
ლატვია	70,170,000	36,458,000
ლიტვა	15,321,000	16,622,000
ლუქსემბურგი	513,469,000	538,747,000
მალტა	204,627,000	229,933,000
ნიდერლანდები	1,572,406,000	1,821,260,000
პოლონეთი	14,946,000	16,458,000
პორტუგალია	9,862,000	10,434,000
რუმინეთი	5,955,000	5,930,000
სლოვაკეთი	59,965,000	60,037,000
სლოვენია		0
ესპანეთი	14,124,000	20,657,000
შვედეთი	13,844,000	19,926,000
გაერთიანებული სამეფო	1,748,537,000	1,998,947,000
<i>სულ</i>	<i>6,555,349,000</i>	<i>7,312,947,000</i>

<http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database 30.05.2018>.

ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა: 996-2016წწ.-6.6 მილიარდი დოლარი, 1996-2017 წწ. კი 7.3 მლდ.დოლარი.

სოლიდური ინვესტიციებია განხორციელებულ საქართველოში რამდენიმე ქვეყნიდან, რაც აღემატება დსთ-ს შესაბამის მაჩვენებლებს. (ცხრილი 31)

ცხრილი 31. ზოგიერთი სხვა ქვეყნიდან განხორციელებული FDI, აშშ დოლ

ქვეყანა	1996-2016წწ.	1997-2017წწ.
აშშ	1,400,864,000	1,475,256,000
თურქეთი	1,294,350,000	1,573,320,000
ჩინეთი	549,874,000	601,726,000
ემირატები	823,149,000	885,870,000
	4,068,237,000	4,536,172,000

<http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database> 30.05.2018.


საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა. (ცხრილი 32)

ცხრილი 32. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, აშშ დოლარი.

წელი	საერთაშორისო ორგანიზაციები
2002	448 532
2003	1 235 937
2004	776 707
2005	3 279 471
2006	14 619 300
2007	13 066 106
2008	23 650 953
2009	30 739 225
2010	45 186 042
2011	94 896 504
2012	63 454 726
2013	54 680 836
2014	-105 980 379
2015	39 779 528
2016	42 885 172
2017	3 166 180
2002-2017	325 884 840

[http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database\\_FDI/2..px/table/tableViewLayout2/?rxid=dc9fd6a4-109c-488e-b76d-562514e74399](http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database_FDI/2..px/table/tableViewLayout2/?rxid=dc9fd6a4-109c-488e-b76d-562514e74399) 30.05.2018.

გრაფიკი 34. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, აშშ დოლ.



[http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database\\_FDI/2..px/chart/chartViewColumn/?rxid=dc9fd6a4-109c-488e-b76d-562514e74399](http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database_FDI/2..px/chart/chartViewColumn/?rxid=dc9fd6a4-109c-488e-b76d-562514e74399) 30.05.2018.

საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით, 1996 წელს პირველ ადგილზე იყო უკრაინა 3.8 მლნ შშ დოლ., 2016 წელს კი ლიდერთა ათეულში 1-2 ადგილზეა აზერბაიჯანი და თურქეთი (ცხრილი 33).

ცხრილი 33. საქართველოში FDI-ს მიხედვით ლიდერთა ათეული, 2016 წ., მლნ აშშ დოლ.


№	ქვეყანა	მლნ აშშ დოლ
1	აზერბაიჯანი	557983543
2	თურქეთი	203493039
3	გაერთიანებული სამეფო	118831618
4	ნიდერლანდები	94721888
5	საფრანგეთი	88581827
6	ლუქსემბურგი	88270502

7	პანამა	75851589
8	ჩეხეთი	64111829
9	აშშ	53535251
10	ვირჯინიის კ-ები (ბრიტ.)	44542500

შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

FDI-ს %-ული ჯამური მონაცემები იხ.: გრაფიკზე 35.

გრაფიკი 35. ლიდერი ქვეყნები FDI-ს განხორციელებით საქართველოში (% ჯამური მაჩვენებლის) 1996-2016 წწ.



შედგენილი:

<http://pcaxis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/DatabaseFDI/2..px/chart/chartViewColumn/?rxid=dc9fd6a4-109c-488e-b76d-562514e74399> 30.05.2018.



**3.3.2. FDI რეგიონებისა და ეკონომიკის სექტორების მიხედვით**

2009-2017 წლების ანალიზიდან გამომდინარე, FDI-ს ძირითადი ნაწილი გამოიყენება თბილისში და აჭარაში (ცხრილი 34 ; გრაფიკი 36 ა-თ).

ცხრილი 34. FDI რეგიონების მიხედვით, 1996-2016 წწ. (ათასი აშშ დოლარი)


წელი	ქ. თბილისი	აჭარა	კახეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	სამეგრელო-ზემო სვანეთი და გურია	იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი
2009	349,177.00	99,386.40	4,193.90	-459.4	49,765.00	100,357.20	61,058.00	712.7
2010	586,197.10	58,935.50	-4,810.30	23,026.80	66,685.40	25,339.70	80,126.50	9,599.40
2011	782,498.80	95,849.60	2,759.90	12,228.80	146,882.60	70,148.30	5,325.20	14,254.60
2012	767,692.00	56,287.50	16,563.20	26,370.00	41,648.30	61,922.40	40,024.00	12,420.40
2013	742,313.70	83,137.50	11,028.60	51,729.70	16,309.20	57,229.80	59,124.40	-241.4
2014	1,366,970.26	169,300.20	15,854.10	74,258.90	55,650.80	93,648.20	27,951.10	14,347.80
2015	1,315,198.02	206,563.40	16,118.60	31,536.10	21,159.80	51,209.50	25,701.80	-14,979.60
2016	1,374,444.06	95,763.00	5,178.90	30,953.80	29,734.50	35,444.10	28,935.80	2,396.50
2017	1,456,909.544.05768	185,434.50	4,820.40	52,655.50	66,727.70	55,690.10	35,342.90	4,320.50

შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ზემოაღნიშნული მონაცემებით დასტურდება წლების მიხედვით FDI-ს ასიმეტრიული გადანაწილება საქართველოს რეგიონებს შორის. დამატებით მივმართოთ ვილობრივ (%) მაჩვენებლებს (გრაფიკი 37).


გრაფიკი 37. FDI საქართველოს რეგიონებში (% ჯამური მაჩვენებლის)

ა) 2009 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ბ) 2010 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

გ) 2011 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

დ) 2012 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ე) 2013 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ე) 2014 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ზ) 2015 წელი




შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

თ) 2016 წელი



შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ო) 2017 წელი



შედგენილია: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

რეალურად, თბილისში გამოყენებული მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 53%-დან-86%-ს ფარგლებში მერყეობს, შემდეგ მოდის აჭარა. თუმცა, აშკარად ასიმეტრიულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე: FDI-ს მცირე ნაწილი ხმარდება რეგიონების განვითარებას, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა ცხოვრობს. გარდა შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთისა (დაახლ. 10%), რეგიონების წილი FDI-ში 0-დან-4%-ის ფარგლებში მერყეობს. ეს ასტიმულირებს მუშახელის მიგრაციას სოფლიდან - დედაქალაქში და ამცირებს ადგილობრივი რესურსების გამოყენებას. აქედან გამომდინარე შესაცვლელია FDI-თან დაკავშირებული პოლიტიკა.

როგორი მდგომარეობაა FDI-ს გამოყენების მხრივ სექტორალურ ჭრილში. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით გავაანალიზოთ ბოლო 10 წლის მონაცემები. ( ცხრილი 35; გრაფიკი 38 ).

ცხრილი 35. FDI ეკონომიკის სექტორების მიხედვით საქართველოში, 1996-2016 წწ.  
(ათასი აშშ დოლარი)

სექტორი	2007	2008	2009	2010	2011	2012
სოფლის	15,330.90	10,612.70	22,326.90	8,631.90	16,837.80	16,119.30

მეურნეობა, თევზჭერა						
სამთომოპოვებითი მრეწველობა	82,726.00	18,105.20	15,023.40	55,986.50	60,259.30	19,116.50
დამამუშავებელი მრეწველობა	282,735.50	188,287.80	130,077.40	178,956.00	119,968.50	189,456.40
ენერგეტიკა	331,572.20	294,864.80	-2,130.60	26,991.50	212,636.60	179,402.60
მშენებლობა	157,951.70	56,725.3	105,218.80	8,582.70	79,613.60	91,684.80
სასტუმროები და რესტორნები	222,849.40	184,582.90	37,542.30	23,923.60	30,387.50	25,550.90
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	310,683.20	422,970.80	98,926.50	215,116.20	131,038.90	84,130.60
მათ შორის:						
ტრანსპორტი	-	-	-	-	-	-
კავშირგაბმულობა	-	-	-	-	-	-
ჯანდაცვა და სოცდახმარება	404.2	50.5	289.1	1,182.40	16,827.00	18,270.60
უძრავი ქონება	1,942.80	277,837.70	147,410.30	124,200.70	158,955.50	56,900.80
ფინანსური	151,883.20	10,959.60	49,663.40	107,586.50	167,566.90	162,273.70
და სხვ.	194,566.90	104,225.80	59,843.30	93,942.10	135,856.30	180,021.70

*გაგრძელება*

სექტორი	2013	2014	2015	2016	2017
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	12,993.40	12,290.30	18,591.30	8,337.90	3,569.80
სამთომოპოვებითი მრეწველობა	43,704.90	45,349.20	88,027.80	50,001.30	54,022.40
დამამუშავებელი მრეწველობა	107,256.70	211,648.50	98,352.50	128,801.60	74,711.40
ენერგეტიკა	244,745.10	190,041.90	123,659.90	117,121.40	188,551.20
მშენებლობა	79,524.50	324,622.80	142,599.90	137,660.70	294,592.40
სასტუმროები და რესტორნები	-7,064.30	132,793.80	141,446.80	56,939.00	89,996.40
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	142,038.30	433,654.70	587,466.60	677,486.10	527,069.90
მათ შორის:					
ტრანსპორტი	-	-	608,115.40	617,812.10	488,197.40
კავშირგაბმულობა	-	-	-20648.8	59,674.00	38,872.50

ჯანდაცვა და სოცლასმარება	720	-8,673,4	140,325.60	28,599.00	3,313.50
უძრავი ქონება	62,337.30	149,644.90	90,104.30	95,167.20	159,783.50
ფინანსური	174,409.10	126,581.00	190,020.50	153,932.90	304,336.60
და სხვ.	159,966.60	200,027.50	30,918.90	148,803.30	161,954.00

შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

*დასკვნა:*


- 1) სოფლის მეურნეობასა და თევზჭერაში, ბოლო ათ წელში, დაახლ 3-ჯერ შემცირდა FDI-ს მოცულობა;
- 2) სამთომოპოვებით მრეწველობაში ადგილი აქვს ბოლო წლებში უცხოური ინვესტიციების შესამჩნევ ზრდას;
- 3) დამამუშავებელ მრეწველობაში, 2007 წლის შემდეგ, შესამჩნევია ინვესტიციების შემცირება;
- 4) სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში გარკვეულად იკლო ინვესტიციებმა;
- 5) ინვესტიციებმა იმატა მშენებლობაში და ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში;
- 6) უძრავი ქონების სექტორში ისევ გაიზარდა ინვესტიციები;
- 7) ფინანსურ სექტორში 2017 წელს 2-ჯერ გაიზარდა ინვესტიციების მოცულობა და სხვ.

ამჯერად, FDI-ს სექტორალური მონაცემები (% მთლიან წილში), წლების მიხედვით, გამოვსახოთ გრაფიკულად.




გრაფიკი 38. FDI სექტორების მიხედვით 2007-2017 წწ.

ა) 2007 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ბ) 2008 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

გ) 2009 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

დ) 2010 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ე) 2011 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ე) 2012 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ზ) 2013 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

თ) 2014 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

ი) 2015 წელი




შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

კ) 2016 წელი



შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

დ) 2017 წელი



შედგენილი: [http://geostat.ge/?action=page&p\\_id=2230&lang=geo](http://geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo) 30.05.2018.

დასკვნა, საქართველოს ეკონომიკის სექტორებში FDI განაწილდა

შემდეგნაირად:

- 1) 2007-2017 წწ. სოფლის მეურნეობას ძირითადად მოხმარდა FDI- ს მთლიანი მოცულობის მიზერული რაოდენობა - 0.1% - 1.0 %-ს ფარგლებში (2009 წ.- 3%; 2012 წ. 2%);
- 2) 2007 წელს ყველაზე მაღალი წილით გამოირჩეოდა დამამუშავებელი მრეწველობა (74%), სამთომომპოვებელი სექტორი (22%);
- 3) 2008წ. ღიდერობდა: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა(27%), ფინანსური სექტორი (19) და უძრავი ქონება (18);
- 4) 2009წ.: უძრავი ქონება (22), დამამუშავებელი მრეწველობა (20%) და მშენებლობა (16%);
- 5) 2010წ.: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (25%), დამამუშავებელი მრეწველობა (21%) უძრავი ქონება (15%);
- 6) 2011წ.: ენერგეტიკა (19%), ფინანსური სექტორი (15%), უძრავი ქონება (14%);
- 7) 2012წ.: დამამუშავებელი მრეწველობა (19%), ენერგეტიკა (18%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (18%);

- 8) 2013წ.: ენერგეტიკა (24%), ფინანსური სექტორი (17%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (16%);
- 9) 2014 წ.: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (24%); მშენებლობა (18%), დამამუშავებელი მრეწველობა (12%);
- 10) 2015-2017 წწ. ლიდერი სექტორი იყო ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, შესაბამისად, 36%, 42% და 28%.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში დაიხარჯა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით მცირე რაოდენობა, განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში, სადაც ოფიციალურად დასაქმებულია მთლიან დასაქმებულთა ნახევარზე მეტი.

**3.3.3. FDI-ს ზოგიერთი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი საქართველოსა და მისი უახლოეს მეზობელ ქვეყნებში**

ამჯერად მოვახდინოთ საქართველოსა და მისი უახლოესი ქვეყნების მონაცემთა შედარებითი ანალიზი. ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით, საქართველოსთვის ცალკე შევადგინოთ ცხრილი 36 და გრაფიკი 39.

*ცხრილი 36. FDI მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოში, 1996, 2003, 2007, 2012, 2016 და 2017 წწ.*

წელი	FDI -ს შედინება	FDI-ს გადინება	წმინდა FDI
1996	0.00	0.00	0.00
2003	77.9	1.0	-76.93
2007	460.0	49.3	-410.67
2012	217.3	56.7	-160.61
2016	427.1	68.8	-358.29
2017	484.8	56.0	- 428.8

შედგენილი: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 30.05.2018.

გრაფიკი 39. FDI -ს მახვენებლები საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე (\$)



1. FDI -ს წმინდა შედინება; 2. FDI -ს წმინდა გადინება; 3. წმინდა FDI .  
 შედგენილი: worldbank.org/indicator 30.05.2018.

ახლა მივმართოთ საქართველოსა და მისი უახლოესი მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მახვენებელთა შედარებით ანალიზს. (ცხრილი 37)

ცხრილი 37. წმინდა FDI მოსახლეობის ერთ სულზე  
 1996, 2003, 2007, 2012 და 2016 წწ. (აშშ დოლარი)

ქვეყანა	1996	2003	2007	2012	2016
სომხეთი	-5.55	-40.59	-222.94	-166.84	-92.97
აზერბაიჯანი	-80.80	285.61	586.69	-87.40	-197.30
საქართველო	0.00	-76.93	-410.67	-160.61	-358.29
რუსეთი	-11.18	12.41	-77.54	-12.33	-70.84
თურქეთი	-10.30	-18.49	-286.52	-127.69	-115.20

შედგ.: worldbank.org 20.04.2018.



დასკვნა:

- 1) საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე FDI -ს წმინდა შედინებამ, FDI -ს წმინდა გადინებამ და წმინდა FDI-მა მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2017წელს;
- 2) საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს წმინდა შედინების მიხედვით 2016 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს, 2007 წელს FDI-ს წმინდა გადინებაში ლიდერობდა აზერბაიჯანი.

საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებში FDI-ს ნაკადების წილი მშპ-ში, (% , 1996-2016 წწ.) წარმოდგენილია ცხრილში 38.


ცხრილი 38. FDI-ს ნაკადების წილი (%) მშპ ში, 2016 წელს.

ქვეყანა	FDI -ს წმინდა შედინების წილი(%) მშპ ში	FDI -ს წმინდა გადინების წილი(%) მშპ ში
საქართველო	11.2	2.9
აზერბაიჯანი	11.9	6.8
სომხეთი	3.2	0.6
რუსეთი	2.5	1.7
თურქეთი	1.6	0.4

შედგენილი: worldbank.org/indicator 30.05.2018.

ევროკავშირის ახალი პოსტსაბჭოური ასოცირებული წევრი ქვეყნების მაჩვენებლები იხ. გრაფიკზე 40.

გრაფიკი 40. FDI-ის შედინების წილი (%) მშპ-ში საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის მშპ-ში, 1996-2016 წწ.



1. საქართველო; 2. მოლდოვა; 3. უკრაინა. წყარო: <https://data.worldbank.org/indicator> 20.04.2018.

დასკვნა - საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებს შორის:

- 1) მშპ-ში FDI -ს წმინდა შედინების წილის(%) მიხედვით ლიდერია აზერბაიჯანი, რომელსაც ცოტათი ჩამორჩება საქართველო;
- 2) მშპ-ში FDI -ს წმინდა გადინების წილის(%) მიხედვით გამოკვეთილი ლიდერია აზერბაიჯანი;
- 3) ევროკავშირის ახალი პოსტსაბჭოური ასოცირებული წევრ-ქვეყნებს შორის, FDI-ის წმინდა შედინების შეფარდებითი წილით (%) მშპ-თან, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს.

მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს წმინდა შედინების მაჩვენებლებით დამაჯერებლად ლიდერობს აზერბაიჯანი, 2016 წელს მას მიუახლოვდა საქართველო. (ცხრილი 39)

ცხრილი 39. FDI-ს წმინდა შედინება მოსახლეობის 1 სულზე  
1996, 2003, 2007, 2012 და 2016 წწ.

ქვეყანა	1996	2003	2007	2012	2016
სომხეთი	5.55	40.71	227.64	172.33	115.60
აზერბაიჯანი	80.80	486.67	535.38	569.42	460.92
საქართველო	0.00	77.88	459.97	217.32	427.09
რუსეთი	17.41	54.81	391.26	353.26	225.43
თურქეთი	12.15	25.75	316.78	182.75	154.78

გაანგარიშებული: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 20.04.2018.

მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს წმინდა გადინებით ასევე გამოკვეთილად ლიდერობს აზერბაიჯანი. (ცხრილი 40)

ცხრილი 40. FDI-ს წმინდა გადინება მოსახლეობის 1 სულზე 1996, 2003, 2007, 2012 და 2016 წწ.

ქვეყანა	1996	2003	2007	2012	2016
სომხეთი	0.00	0.12	4.70	5.48	22.64
აზერბაიჯანი	0.50	201.06	1122.06	482.03	263.63
საქართველო	0.00	0.95	49.31	56.71	68.80
რუსეთი	6.22	67.22	313.72	340.93	154.59
თურქეთი	1.85	7.26	30.26	55.06	39.58

შედგ.: [worldbank.org](http://worldbank.org) 20.04.2018.


ახლა ერთმანეთს შევადაროთ FDI-ს წმინდა შედინება-გადინების მაჩვენებლები ევროკავშირის ახალ ასოცირებულ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე სხვადასხვა წლებში. (ცხრილი 41,42 და 43; გრაფიკი 41, 42 და 43).

ცხრილი 41. FDI შედინება მოსახლეობის ერთ სულზე  
1996, 2003, 2012 და 2016 წწ.

ქვეყანა	1996	2003	2007	2012	2016
საქართველო	0.00	77.88	459.97	217.32	427.09
მოლდოვა	6.47	20.41	149.86	70.45	25.61
უკრაინა	10.20	29.78	219.16	179.30	76.46

განგარიშებული: [worldbank.org](http://worldbank.org) 20.04.2018.

გრაფიკი 41. FDI შედინება მოსახლეობის ერთ სულზე  
1996, 2003, 2012 და 2016 წწ.



განგარიშებული: [worldbank.org](http://worldbank.org) 20.04.2018.

1. საქართველო; 2. უკრაინა; 3. მოლდოვა.


დასკვნა: FDI -ს წმინდა შედინებით მოსახლეობის ერთ სულზე 2007წელს და 2016 წელს ღიდერია საქართველო.

ცხრილი 42. FDI გადინება მოსახლეობის ერთ სულზე  
1996, 2003, 2012, 2016 წწ.

ქვეყანა	1996	2003	2007	2012	2016
საქართველო	0.00	0.95	49.31	56.71	68.80
მოლდოვა	0.15	0.03	3.39	7.47	4.59
უკრაინა	-0.10	0.27	20.96	21.49	3.84

გაანგარიშებული: [worldbank.org](http://worldbank.org) 20.04.2018.

გრაფიკი 42 FDI გადინება მოსახლეობის ერთ სულზე  
1996, 2003, 2012 და 2016 წწ.



1.საქართველო; 2. უკრაინა; 3. მოლდოვა. გაანგ-ლი: [worldbank.org](http://worldbank.org) 20.04.2018.


დასკვნა: FDI-ს წმინდა გადინებით მოსახლეობის ერთ სულზე 2007წელს და 2016 წელს ღიდერია საქართველო.

ცხრილი 43. წმინდა FDI მოსახლეობის ერთ სულზე  
1996, 2003, 2012 და 2016 წწ.

ქვეყანა	1996	2003	2007	2012	2016
საქართველო	0.00	-76.93	-410.67	-160.61	-358.29
მოლდოვა	-6.32	-20.38	-146.47	-62.98	-21.02
უკრაინა	-10.30	-29.51	-198.20	-157.81	-72.61

გაანგ-ლი: [worldbank.org/indicator](http://worldbank.org/indicator) 20.04.2018.

გრაფიკი 43. წმინდა FDI მოსახლეობის ერთ სულზე, 1996, 2003, 2012 და 2016წწ.



1.საქართველო; 2. უკრაინა; 3. მოლდოვა. გაანგ-ლი: [worldbank.org](http://worldbank.org) 20.04.2018.

როგორც ირკვევა, წმინდა FDI მოსახლეობის ერთ სულზე 2007წელს და 2016 წელს ღიდერია საქართველო.

საქართველოსა და მისი უახლოესი ქვეყნების მონაცემთა შედარებით ანალიზის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- 1) საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე FDI -ს წმინდა შედინებამ, FDI -ს წმინდა გადინებამ და წმინდა FDI-მა მაქსიმალურ დონეს მიაღწია 2017წელს;
- 2) საქართველოსა და მის უახლოეს მეზობელ ქვეყნებს შორის მოსახლეობის ერთ სულზე FDI -ს წმინდა შედინების მიხედვით 2016 წელს ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვს საქართველოს, 2007 წელს FDI -ს წმინდა გადინებაში ღიდერობდა აზერბაიჯანი;

- 3) მშპ-ში FDI-ს წმინდა შედინების წილის (%) მიხედვით, ლიდერია აზერბაიჯანი, რომელსაც ცოტათი ჩამორჩება საქართველო;
- 4) მშპ-ში FDI-ს წმინდა გადინების წილის (%) მიხედვით, გამოკვეთილი ლიდერია აზერბაიჯანი;
- 5) ევროკავშირის ახალი პოსტსაბჭოური ასოცირებული წევრ-ქვეყნებს შორის FDI-ის წმინდა შედინების წილით (%) მშპ-ში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს საქართველოს;
- 6) მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს წმინდა შედინების მაჩვენებლებით დამაჯერებლად ლიდერობს აზერბაიჯანი, 2016 წელს მას მიუახლოვდა საქართველო;
- 7) მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს წმინდა გადინებით ასევე გამოკვეთილად ლიდერობს აზერბაიჯანი;
- 8) FDI -ს წმინდა შედინებით მოსახლეობის ერთ სულზე 2007წელს და 2016 წელს ლიდერია საქართველო;
- 9) FDI-ს წმინდა გადინებით მოსახლეობის ერთ სულზე 2007წელს და 2016 წელს ლიდერია საქართველო;
- 10) წმინდა FDI მოსახლეობის ერთ სულზე 2007წელს და 2016 წელს ლიდერია საქართველო.

## დასკვნა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სხვადასახვა ასპექტის კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ :

- 1) უცხოური ინვესტიციებისადმი სხვადასხვა მიდგომების გაანალიზების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე პერიოდში არ არსებობს არც ტრადიციული, არც თანამედროვე თეორია, რომელიც ამომწურავად დაასაბუთებს FDI-ს ნაკადების ზრდის განმაპირობებელ მიზეზებს და აქედან გამომდინარე, უმჯობესია გამოვიყენოთ სხვადასხვა კონცეფციების კრებსითი-სინთეზური მოდელი;
- 2) ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (IIP) გაიანგარიშება საერთაშორისოდ აპრობირებული მეთოდოლოგიის საფუძველზე რომლების ადასტურებენ, რომ გრძელვადიან პერიოდში, როგორც წესი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წლის მეორე ნახევარში აჭარბებს წლის პირველ ნახევარში დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს;
- 3) საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წასახალისებლად, დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე დაიწყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე ზრუნვა, გადაიდგა პირველი ნაბიჯებიც, შემდგომში კი ამ მიმართულებით ინტენსიური სამუშაოები წარიმართა, ამ კანონმდებლობაზე მუშაობა მიმდინარეობს ამჟამადაც.
- 4) მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ საქართველოში უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი. თუმცა, აქ სიფრხილვეც გვმართებს, რადგან თუ სამამულო ინვესტორის საკუთრება დაუცველია, მაშინ ეს შეიძლება შეეხოს უცხოელ ინვესტორსაც;
- 5) უცხოელი ინვესტორისთვის პოზიტიურია, რომ მას შეუძლია სამუშაოზე მიიღოს უცხოელი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ნორმა ვფიქრობთ დამატებით განსახილველია, რამდენადაც



მიმდინარე გლობალურ კონკურენციაში ადგილობრივი პერსონალი ამ ეტაპზე ხშირად ნაკლებად კონკურენტუნარიანია უცხოელებთან შედარებით;

- 6) დამატებით ანალიზს მოითხოვს ასევე მოქმედი კანონის მოთხოვნა, რომ მუშაკთა სოციალური დაზღვევის, სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი გადასახადებისა და შენატანების გადასახადის შესახებ კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ უცხოელ მუშაკებზე, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში დასაქმებული უცხოელი არ იხდის სოციალურ გადასახადებსა და შენატანებს, ადგილობრივი მუშახელის დასაქმება კი გაზრდიდა ქვეყანაში ბიუჯეტის შემოსავლებს, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ ხარჯების ეფექტიანად დაფინანსებას;
- 7) კანონით ინვესტიციის დაცვა გარანტირებულია-ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია მხოლოდ კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით (მუხლი 7-2); გადაწყვეტილება ინვესტიციის ჩამორთმევის შესახებ, აგრეთვე კომპენსაციის პირობები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სასამართლოში, თუ მხარეთა შეთანხმებით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. სამწუხაროდ ეს პრინციპები უხეშად ირღვეოდა წინა წლებში და ამ თვალსაზრისით სამართლიანობა ფაქტობრივად დღემდე არ არის აღდგენილი;
- 8) დამატებით განხილვებს საჭიროებს ასევე მოქმედი კანონის მოთხოვნა: მუშაკთა სოციალური დაზღვევის, სოციალური და საპენსიო უზრუნველყოფისათვის აუცილებელი გადასახადებისა და შენატანების გადასახადის შესახებ კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ უცხოელ მუშაკებზე, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში დასაქმებული უცხოელი არ იხდის „სოციალურ გადასახადებსა“ და შენატანებს, მაგრამ ქვეყნისათვის ადგილობრივი მუშახელის დასაქმება კი გაზრდიდა საბიუჯეტო შემოსავლებს;
- 9) გაუმართლებელია, რომ კერძო სამართლის იურიდიულ პირს - სააქციო საზოგადოების მართვის ორგანოს-სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობდეს უმაღლესი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირი

პრემიერ - მინისტრი, მითუმეტეს, რომ კანონმდებლობა კრძალავს საჯარო მოხელეების მონაწილეობას სამეწარმეო საქმიანობაში;

- 10) კერძო სამართლის იურიდიულ პირს - სააქციო საზოგადოება საპარტნიორო ფონდი უფლებამოსილებაში არ უნდა შედიოდეს საჯარო ფუნქციების განხორციელება: განკარგოს განხორციელებულ პროექტებში არსებული თავისი კუთვნილი წილის/აქციები; მიიღოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან სახელმწიფო გარანტიით მოზიდული გრანტები;
- 11) „ფონდს“, როგორც ერთ-ერთ სააქციო საზოგადოებას, არ უნდა შეეძლოს მაგ. „რკინიგზის“, „თელასის“ და სხვ. წილების მართვა, მათგან დივიდენდების მიღება, რაც კანონმდებლობით, სახელმწიფო ქონების მართვის სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება;
- 12) წინააღმდეგობრივია ასევე, კანონის მესამე მუხლის (პ.3) მოთხოვნა, რომ ფონდის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლა მთელი მისი ქონებით და სახელმწიფომ, როგორც ფონდის აქციონერმა პასუხი არ უნდა აგოს ფონდის ვალდებულებებისათვის. (02.03.2012. 5746), ეს მაშინ, როდესაც სწორედ სახელმწიფო, როგორც ფონდის დამფუძნებელია არაპირდაპირი გზით პასუხისმგებელი თავისი წილით კრედიტორების წინაშე და სხვ;
- 13) მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკაში ჩამოყალიბდა ტენდენცია, როდესაც ქვეყნების უმრავლესობა ახდენდა უცხოური ინვესტიციების წახალისებას, ამავდროულად არც თუ იშვიათად, რიგი ქვეყნები ინვესტიციების მიმღები ქვეყნიდან ინვესტიციების გატანას ზღუდავენ;
- 14) გლობალური ეკონომიკის მასშტაბები განუხრელად ფართოვდება, თუმცა ეს განვითარება პრობლემების გარეშე როდია. მსოფლიოში მშპ-ს ჯამური მაჩვენებელი მაქსიმალური იყო: 2014 წელს (\$78. 377 ტრლნ; 2015 წელს - \$73.89 ტრლნ; 1990 წელს - \$22.517 ტრლნ). ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ეკონომიკა 2014 წელს, 1990 წელთან შედარებით, 3.48 ჯერ გაიზარდა;
- 15) 1990-2016 წლებში: ჯამური მსოფლიო მშპ გაიზარდა 3.7-ჯერ, მშპ-ს საშუალო წლიური ზრდა მერყეობს საშუალოდ 3-2.5%-ს ფარგლებში, მშპ მოსახლეობის 1 სულზე გაიზარდა 2.4-ჯერ, საშუალო წლიური ინფლაცია

მერყეობს 8.5%-დან - 1.7%-ის ფარგლებში, უმუშევრობის დონე - 5-6%-ს ფარგლებში;

- 16) მსოფლიო ჯამური მშპ-ს მაქსიმალური დონე 2014 წელს დაფიქსირდა, მნიშვნელოვან ჩავარდნას კი ადგილი ჰქონდა 2009 წელს;
- 17) მშპ-ს წლიური ზრდის ტემპის ზრდის მაქსიმალური მაჩვენებელი 4.5% იყო 2004 წ., მაქსიმალური დაცემის მაჩვენებელი - -1.7% კი 2009 წელს;
- 18) მთლიანობაში გაიზარდა მშპ მოსახლეობის ერთ სულზე 10191 აშშ დოლარამდე (პიკი 10795 აშშ დოლარი, 2014 წ.);
- 19) საშუალო წლიური ინფლაციის მაქსიმალური მაჩვენებელი - -10.3% დაფიქსირდა 1994 წელს;
- 20) უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე - 6.4%, 1999 წელს დაფიქსირდა (მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენით), ყველაზე დაბალი -5.3% , 2007 წელს;
- 21) მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში და გლობალიზაციაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებისა და გადინების ნაკადები. საკვლევ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა, როგორც შედინების, ასევე გადინების მასშტაბები, გაიზარდა ასევე მათი წილი მსოფლიო მშპ-ში. თუ თავდაპირველად მსოფლიო FDI-ს გადინების მოცულობა აღემატებოდა შედინების მოცულობას, შემდეგ პერიოდში პირიქით ხდება. საკვლევ ოცწლიან პერიოდში FDI-ს შედინებისა და გადინების ჯამურმა მაჩვენებლებმა შესაბამისად შეადგინა: 32.6 ტრლნ \$ და 31.4 ტრლნ \$. აღსანიშნავია მაჩვენებელთა შემცირების პერიოდებიც;
- 22) 2001-2003 წწ., 2009 წელს (ფინანსური კრიზისის გამო) და 2014 წელს FDI-ს შედინების მასშტაბები ყოველწლიურად მცირდება;
- 23) 2001-2002 წწ., 2009 წელს (ფინანსური კრიზისის გამო), 2012, 2014 და 2016 წლებში FDI-ს გადინების მოცულობები ყოველწლიურად მცირდება;
- 24) 2007 წელი პიკური იყო, როგორც FDI-ს შედინების (3.1 ტრლნ \$), ასევე FDI-ს გადინების (3.2 ტრლნ \$) თვალსაზრისით;

- 25) მსოფლიო ინვესტიციებში 1996-1999 წწ. და 2007 წელს (პიკი) გადინებების მოცულობა აჭარბებდა შედინებების მასშტაბებს, 2006 წელს მაჩვენებლები თითქმის თანაბარია, 2000-2016 წწ. კი საპირისპირო სურათი გვხვდება;
- 26) მსოფლიო FDI შედინების წილი(%) მშპ-სთან 1.176%-დან (1996) - 2.925%-მდე (2016) მერყეობს, პიკური იყო 2007 წელი (5.270%). გადინების მიხედვით, შესაბამისად დაფიქსირდა შემდეგი მაჩვენებლები: 1.400%, 2.520% და 3.195%;
- 27) მშპ მოსახლეობის 1 სულზე მსოფლიოს მასშტაბით ფიქსირდება: \$100-ზე ნაკლები 1996 წელს, მაქსიმალური მაჩვენებელი იყო \$400-ზე მეტი 2007 წელს, 2016 წელს კი იგი არ აღემატება \$300-ს;
- 28) FDI-ს წმინდა შედინების მაჩვენებლებით, მსოფლიოში ლიდერთა ათეულში, ტრადიციულად ხვდებიან განვითარებული ქვეყნები, ბოლო პერიოდში მათ გვერდით უკვე გამოჩნდნენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკები;
- 29) FDI-ს წმინდა შედინების მიხედვით, მსოფლიო ლიდერთა ათეულს სათავეში ედგა აშშ (1990, 1996, 2003, 2012, 2016), ერთხელ-ნიდერლანდები (2007), ხოლო ლიდერთა ათეულში მოხვდნენ: სინგაპური (1990, 1996, 2012, 2016), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (2016), ჩინეთი (2012, 2016) და რუსეთი (2016). ეს იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ჩამოყალიბებული ტენდენციის მიხედვით, FDI-ს წმინდა შედინების ნაკადებში სუსტად განვითარებული ქვეყნები მსოფლიოს ლიდერთა ათეულში სულ უფრო აძლიერებენ თავიანთ პოზიციებს;
- 30) საანალიზო წლებში, მსოფლიოს ლიდერთა ათეულში ლიდერობდა, FDI-ს წმინდა გადინების მიხედვით: 5-ჯერ აშშ (1990, 1996, 2003, 2012 და 2016 წწ.), ერთხელ-ნიდერლანდები (2007 წ.); განვითარებადი ქვეყნებიდან ლიდერთა ათეულში მოხვდნენ: პონგ კონგი (ჩინეთი, 1996, 2012, 2016), სინგაპური (1996), ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები (2012) და ჩინეთი (2012, 2016); 1990-იანი წლების შემდეგ გამოიკვეთა ტენდენცია, როდესაც FDI-ს ნაკადებში სუსტად განვითარებული ქვეყნები მსოფლიოს ლიდერთა ათეულში სულ უფრო განიმტკიცებენ თავიანთ პოზიციებს;

- 31) ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით მომსახურების (ICT), დაზღვევისა და ფინანსური მომსახურების მასშტაბების მკვეთრი ზრდა მსოფლიოში;
- 32) მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკაში ჩამოყალიბებული ტენდენციის მიხედვით, ქვეყნების უმრავლესობა უცხოურ ინვესტიციებს ახალისებს, მაგრამ არც თუ იშვიათად, ინვესტიციების მიმღები ქვეყნიდან ინვესტიციების გატანა იზღუდება;
- 33) მსოფლიოს მასშტაბით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ტენდენცია გამოიკვეთა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ, მაგრამ მსოფლიოს ჯამური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ (ისე როგორც განვითარებულ ქვეყნებში) ჯერჯერობით ვერ მიაღწია 2007 წლის დონეს;
- 34) პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადი განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში შეედინება და მათ უკვე გადალახეს კრიზისამდელი - 2007 წლის დონე;
- 35) განვითარებული ეკონომიკები მყარად ლიდერობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, როგორც შედინების, ასევე გადინების მიმართულებით. აქ 2011-2016 წწ. 13-ჯერ გაიზარდა შედინების მოცულობა, გადინებისა კი შემცირდა 14%-ით;
- 36) განვითარებადი ეკონომიკებში თითქმის 2-ჯერ შემცირდა FDI -ის შედინების, 9.5%-ით FDI-ის გადინების მაჩვენებლები. ამასთან, ამ ეკონომიკების წილი (%) FDI -ის მთლიან გადინებაში მეტად მცირეა;
- 37) ბოლო წლებში, გარდამავალი ეკონომიკებში შემცირდა FDI-ს შედინების და გადინების მაჩვენებლები. აქ 2013 წელს FDI-ის შედინება გაიზარდა 28%-ით და რეკორდულ დონეს - 108 მლრდ დოლარს მიაღწია (2012 წ.- 84 მლრდ დოლ.). თუმცა აქ ზოგან (რუსეთი, უკრაინა...) პერსპექტივები რთული და ბუნდოვანია, რასაც ადასტურებს 2013 წელს გარდამავალი ეკონომიკებიდან FDI-ს გადინების რეკორდული დონე - 99 მლრდ დოლ (წინა წელთან შედარებით გაიზარდა 83,3%-ით);
- 38) მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნები სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებულნი გახდნენ მომპოვებელ დარგებში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციებზე

რამდენადაც მათი წილი ახალ საინვესტიციო პროექტებში მკვეთრად შემცირდა;

- 39) ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედინებით, მსოფლიოს 10 ლიდერ ქვეყანას შორის უკვე ფიგურირებენ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკები;
- 40) ევროკავშირის ქვეყნებს ძირითადად საკმაოდ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები აქვთ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. EU-ს ქვეყნების:
  - ჯამური მშპ მსოფლიოს ანალოგიური მაჩვენებლის თითქმის 22%-ს შეადგენს;
  - მშპ მოსახლეობის 1 სულზე დაახლოებით 3-ჯერ აღემატება მსოფლიო ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;
  - ინფლაციის საშუალო წლიური მაცვენებელი მნიშვნელოვნად უკეთესია მსოფლიოს საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელზე;
  - უმუშევრების დონის მაჩვენებლებით დასაქმების -ს ქვეყნებს შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ.
- 41) პორტფელური ინვესტიციების მოცულობა ყველაზე მაღალია გერმანიაში;
- 42) საერთაშორისო, საკომუნიკაციო მომსახურებაში (ICT) ლიდერებია გაერთიანებული სამეფო და გერმანია;
- 43) სადაზღვევო კაპიტალის მიხედვით ლიდერობს მალტა;
- 44) ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს შედინების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო: ნიდერლანდებში (\$1 070, 1996 წ.), მალტა (\$87 522, 2007 წ.), FDI-ს შედინება ლუქსემბურგში (\$ 9 502, 2003 წ.; \$269 377, 2012 წ.; \$46 070, 2016 წ.);
- 45) ევროკავშირის ქვეყნებში მოსახლეობის ერთ სულზე FDI-ს გადინების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო: ნიდერლანდებში (\$2 057, 1996 წ.), ბელგიაში (\$3 762, 2003 წ.), ირლანდია (\$13 627, 2007 წ.), FDI-ს შედინება ლუქსემბურგში (\$148 530, 2007 წ., \$169 143, 2012 წ.; \$54 278, 2016 წ.);
- 46) მოსახლეობის ერთ სულზე წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - \$173068.617 დაფიქსირდა 2016 წელს ლუქსემბურგში;

- 47) ევროკავშირის ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:
- ევროკავშირის ქვეყნებს ძირითადად საკმაოდ მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლები აქვთ, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. EU-ს ქვეყნების:
  - ჯამური მშპ მსოფლიოს ანალოგიური მაჩვენებლის თითქმის 22%-ს შეადგენს;
  - მშპ მოსახლეობის 1 სულზე დაახლოებით 3-ჯერ აღემატება მსოფლიო ანალოგიურ საშუალო მაჩვენებელს;
  - ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად უკეთესია მსოფლიოს საშუალო ანალოგიურ მაჩვენებელზე;
  - უმუშევრების დონის მაჩვენებლებით დასაქმების EU-ს ქვეყნებს შედარებით მაღალი მაჩვენებლები აქვთ;
  - პორტფელური ინვესტიციების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი არის გერმანიაში;
